



ბარბარე ჯორჯაძე

„რას ვეძებდი და რა ვპოვე“

კომედია III მოქმედებად

თავადი იულონ სიმირიძე

დათია, მოურავი იულონისა

სოსია, მსახური იულონისა

ოსანა ქალი მესანთლოვისა

მაქთაღა – ყასბის დედა

თაღალა – მაქთაღას შვილიშვილი

ფოჩტალიონი

პირველი მოქმედება მიმდინარეობს სოფელში, მეორე და მესამე – ქალაქში

პირველი მოქმედება

თეატრი წარმოადგენს ერთს გაუღესავს ოთახს, რომელსაც აქვს ორი ფანჯარა, - ადგილ-ადგილ ქაღალდ გაკრული, რადგან მინები აკლია. ამ ოთახში, ცალ მხარესა დგას პატარა ტახტი და ზედა ჰშლია ძველი ხალიჩა, მეორე მხარესა დგას ერთი ძველი სკამი.

გამოსვლა პირველი

იულონ - (ზის ტახტზედ და ხელში ათამაშებს კრიალოსანს; ბოლოს თავს მაღლა აიღებს და იტყვის) რა ვქნა, ამდენი ფიქრითაც რომ ვერა გავაწყე რა?.. ზოგიერთნი ის ოხრები, ისე უწყალოთ ნეტა რათა მდიდრდებიან, ზოგმა რომ თავის ფულების ანგარიში არც კი იცის?.. აბა, ეხლა, მე, მითომ თავადიშვილი ვარ, შემომხედოს კაცმა, რა ტანისამოსი მაცვია!..(წამოდგება ფეხზედ და ხელით იდაყვებს იშინჯავს) დაგლეჯილი შალის ჩერქესკა და ჩითის ახალუხი!.. ნეტავი ამის მეტი ახალუხი მაინცა მქონდეს!.. რომ გავარეცხინებ ხოლმე, საჩქაროთ თუ ცეცხლზედ არ გამიშრეს, გულით რომ მინდოდეს, გარეთ ვერ გამოვსულვარ. ეს ერთი წელიწადი არის დისის ცდითა ვცდილობ და ერთი მაუდის ჩოხის შეკერვა ვერ მოვახერხე.

გამოსვლა მეორე

მოურავი – (შემოვა, დურა ტყავწამოსხმული, იულონს თავს დაუკრავს და იტყვის) ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა!

იულონ – (ცოტას ხანს ისევ ფიქრში არის, შემდგომს შეხედავს მოურავს და ეტყვის) ოჰ, დათია, შენა?

მოურავი – მე გახლავარ შენი ჭირიმე.

იულონ – (ისევ ჩაფიქრდება)

მოურავი – რას დაფიქრებულხართ ბატონო, ქვეყნის ხარჯს ხომ თქვენ არა გთხოვენ?

იულონ - (მწარე ღიმილით) ხარჯი კი არა, არა ვეუო, შენ ეს მითხარ, მე და შენ რა დაგვემართა რომ, ჩვენი სისხლი ამ ოჯახში ჩავდვართ, შენ ეგ ტყავი ვერ გამოიცვალე და მე ეს შალის ჩერქესკა.

მოურავი – დალოცვილო! რომ შემოგხედეთ დაფიქრებულს, კინაღამ გული გამისქდა. მე მეგონა კიდევ ერთი დიდი შესაწუხებელი მისდგომია მეთქი... იმდენი დღეგრძელობა გქონდესთ, რამთენი კარგი ტანისამოსი ჩვენ გაგვეცვითოს, ან ეხლა რა გვიჭირს?

იულონ – დიას, დარბაისლობაში ასე უნდა დადიოდეს თავადისშვილი, როგორც ეხლა მე ვარ? (იდაყვებს დაანახვებს)

მოურავი – გამოჭიმულები რომ არ დავდივართ ამითი მითომ რა? ფერი გვაკლია თუ ხორცი? ჯანის სიმრთელე გექონდეს და გული მხიარულათ შევინახოთ, თორემ ზიზილ- პიპილები არასა იქს, ეხლა ჩემზედ მეტს თუ გაიცინებს ვინმე სანაძლეოს დავდებ.

იულონ – გული მხიარულათ, რომელი საგნით შევინახო, ჩემო დათიავ, განა ცოტა მწუხარება გამოვიარე? მაგრამ იმითიც არ მოვკვდი. ცოცხალი კაცი თუ გაიდრეჭს, იმითი რა გამოვიდა?

მოურავი – წარსულს ვერავინ მოვეწევიო, სევდებს თავი უნდა დავანებოთ, ეხლა ბატონო, ჩვენ ღვთის მოწყალებით, არა გვიჭირს რა.

იულონ – კარგად ყოფნაა ეს? ცარიელი ქერ-ჭრელას ჭამით ლამის კბილები დამცვივდეს.

მოურავი – დალოცვილო, რა ცოტა ნახნავები გექონდა? მაგრამ ბევრნი ვართ და რომ ვერ აგვივიდა... მარტო ოცი კოდი შენი შვილების ოსტატს გავუგზავნეთ.

იულონ – შენის ანგარიშით, რამთენი დღის ნახნავი გექონდა წელს ჩვენა?

მოურავი – (მცირე ფიქრის შემდეგ) რამთენი და (ხელეებითა სთვლის) სამი დღისა ნასიმიდარი, ორი დღისა ნაფეტვარი, ახლა ჩვენი დიდი ხოდაბუნე?

იულონ – იმ ხოდაბუნსაც შენ ეძახი დიდსა, თორემ ბევრი იყოს, ხუთი დღიურის მეტი ხომ არ იქნება?

მოურავი – რასა ბრძანებთ, რატომ ოცი დღისაც არ არის?

იულონ – მამა არ წამიწყდეს!

მოურავი – რა გაფიცებთ დალოცვილო.

იულონ – მაშ, თუკი მაგრე არის, გასასყიდათაც გადაგვრჩება და ქერ-ჭრელით რაღათა მკლამთ?

მოურავი – გასყიდვისაკი რა მოგახსენოთ და ახლამდისკი გვეყოფა.

იულონ – მამა ცხონებულო, ბევრი მოგვივიდაო გამეხარდა, მე გასასყიდათ მინდა მოვახერხო რამე და არა ვიცი-რა.

მოურავი – ჰოოო! გასასყიდათ გინდათ? მაშ ღვინოები გავჰყიდოთ, ორმოცი თუმნისა მაინც გაგვეყიდება.

იულონ – ღვინო კი გვაქვს გასასყიდი?

მოურავი – ღვინო როგორ არ გვექნება, მერე, შენი რისხვა არა მაქვს, ისე ნაირათ საგულისგულთ დავაყენე, რომ მრთელს კახეთში იმისთანა არა იქნება რა, თითო ურმიან ქვევრში ოც-ოცი გოდორა ჭაჭა ჩავაყარე.

იულონ –(შეკრთომით) კაცო, ურმიან ქვევრში ოცი გოდორი ჭაჭა! ღვინო რაღაში ჩაასხი?

მოურავი – სოსიას დაუძახებ, ჭაშნიკი ვნახოთ, როგორ ჩინებულათ შეღებილი გახლდებათ.

იულონ – თუკი წვენი აღარა ედგმება რა, რაღა შეიღებებოდა?

მოურავი – გადაღების დროს ვენახში მბარაგები მყვანდა და მე აღარ მინახამს, მეშინიან ჭაჭა ცოტაც არ მოსლოდეს.

იულონ – (გაჯავრებით) შე ოჯახ ქორო, ურმიან ქვევრისათვის ოცი გოდორა ჭაჭა ცოტა არის? მიკვირს, ან კი, როგორ ჩაეცია?... აბა, სოსიას დაუძახე.

მოურავი –(კარებთან მიღება და უძახის) სოსიაე! სოსიაე! ბატონი გიბძანებს(მოურავი ისევ შემობრუნდება)

გამოსვლა მესამე

იგინივე და სოსია

სოსია – (შემოდის დაგლეჯილი ჩითის ახალუხი აცვია, თავზედ თუშური ქუდი ჩამოუჩაჩავს, ფეხებზედ ქალამნები აცვია, წამოდგება წინ და იულონს) რას მიბძანებთ, შენი ჭირიმე?

იულონ – სოსიაე, რადგან მეკუჭნავე ხარ, შენ უფრო გეცოდინება მოურავი რომ ამბობს, იმ ქვევრებს რაერთი ღვინო უნდა გამოუვიდეს.

სოსია – რომელ ქვევრს ბატონო?

მოურავი (სოსიას) მე რო გითხარ, შავი ღვინოებისა, უჩემოთ არ დახარჯო მეტქი, შენ რომ გადაიდე.

სოსია – ის ღვინო? მერე სადღა გახლამთ?

მოურავი – (წყენით) გაგიჟდი? მაშ რა იქნა?

სოსია - მაშინ ბატონს სახლიკაცები რო დაეპატიუნა სადილათა ის ღვინო სულ არ დალიეთ? ცვარიც არ დაგრჩენიათ ჩემა გამჩენმა!

მოურავი (გაოცებით) ორივე ქვევრები გამოცალეთ? ბარაქაღა, კარგათ გარჯილხართ!.. აბა, ემაგას ვამბობ ხოლმე აი!..

სოსია –(წყენით) რა ორი ქვევრი კაცო, მე ხომ არ მომიპარავს? შენ რომ საბარაქალოზედ ჯიხვებსა ჰსცლიდი, რაღა გადაგრჩებოდათ, ქვეყანა აქ შეყარე და ძალათ პირში ასხამდი.

მოურავი – მაინც მაგრე ჰღუპავთ ამ სახლსა და რა უნდა გიყოთ კაცმა.

სოსია – აბა როგორ გითხრა და, მე და შენში ღმერთი გაუწყრეს ამ სახლის მოლაღატესა!

იულონ (მოურავს) – კარგია ერთი, ჩუმათ იყავ, ცარიელი ჭაჭა ჩაგიდვია და წვენი რაღა ედგმებოდა?.. (სოსიაზედ ხელს იშვერს) ეს მართაღს ამბობს.

სოსია – (იულონს) ბატონო, თქვენ როგორ მოგპარავთ რასმეს, ღმერთი არ გამიწყრება?

მოურავი – მაშ მე აღარა მცოდნია რა, ურმიან ქვევრისათვის ოცი გოდორი ჭაჭა ბევრი იქნება?

იულონ (გაჯავრებით, მოურავზედ ამბობს პუბლიკისაკენ) მე და ჩემმა ღმერთმა სულელი არის... ანკი რას ველაპარაკები!..

მოურავი – შენ მზესა ვფიცავ, ჩვენი დიდი რუმბები რომ არის, თითო ქვევრი ორივეს გაავსებდა და იმთენი როგორ დავლიეთ.

სოსია – ან იმაში რა ბევრი ჩადის, ორივე თორმეტი ჩაფისა გახლამთ.

იულონ (სოსიას) – სხვა ღვინო კი არა გვაქვს რა?

სოსია – ერთი პატარა ქოცო კიდევ შენახული მქავს იმ ღვინისა, - რა ვიცი როგორ დაგვჭირდეს.

იულონ (მოურავს) – მაშ ბევრი გაიყიდება, სიტყვა ბატაქიანო?

მოურავი – მე რა გიყოთ, თქვენ ჩიჩიაც გინდათ და ბაბაცა(ბუტბუტით გასწევს კარისაკენ)

იულონ – (გაივლის და გამოივლის) ნეტავი იმთენი ფული მაინც მომეხერხებინა, რომ ქალაქამდის ჩავსულიყავ... მოურავო, წახველ? აქ მოდი, რა გითხრა.

მოურავი – (კარიდან ისევ მობრუნდება) რა გნებავთ?

იულონ – კარგათ უნდა იფიქრო, რა უნდა გავყიდოთ?

მოურავი – რა ვიფიქრო, დალოცვილო, რომ სულა ჯავრობთ.

იულონ – ჩემგან როდი უნდა გეწყინოს, სულელო, ერთათ შეზრდილები ვართ.

მოურავი – აკი არა მწყინს.

იულონ – მაშ, მითხარ, რა გაეყიდოთ?

მოურავი – მაგას რა დიდი ფიქრი უნდა?

იულონ – აბა რა მოგახერხოთ?

მოურავი – ისეთი დასუქებული ღორები მყავს... ჩვენი სიმიდი სულ იმათ შევაჭამე...
თითო ღორში შვიდ-შვიდ მანეთს მოგვცემენ.

სოსია – (თავს იქნევს პუბლიკისაკენ) რა ტრაბახი იცის, თქვენი ჭირიმეთ?

იულონ (სიხარულით) – აი, ბარაქადა! ეგ კარგი მომაგონე... რამთენი იქნება?

მოურავი - თვლით კი არ ვიცი და, ძალიან ბევრი კი უნდა გვეყვანდეს.

იულონ – სოსიავ, აბა წადი მეღორესა ჰკითხე, რამთენი ღორი არის და ჩქარა
მოდი.

სოსია – ბატონი ბრძანდებით(გავა).

იულონ(მოურავს) – ეხლა ფული ძალიან მიჭირს და არ ვიცი რა ვქნა?

მოურავი – თუკი მაგრე არის და, დღეს აქ სოფელში ვნახე ერთი ქალაქელი
სირაჯი მოსულა, იქნება ახალი ღვინის მოსაგაღზედ მოგვცეს ფულები?

იულონ – ჭაშნიკს მოითხოვს და სად არის?

მოურავი – ვერ ვიცნობთ, თორემ ათიოდე თუმანს დავახწევდი როგორმე, ამის
მეტათ იმას აქ არ გაუვლია.

იულონ – ჭაჭა-თხლე ისე იაფათ რომ არ გადაგედვარა ეხლა კარგს ფულს
მოგვცემდა.

მოურავი – მაშინ უფრო თავზედ წვიმა არ ჩამოგვდიოდა? იმისმა ფულებმა ყავარი
დაგვიხურა, მეტი რა გინდათ?

გამოსვლა მეოთხე

ივინივე და სოსია

იულონ (სოსიას) რაო? რამთენი ღორი გვეოლია?

სოსია – მეღორეს არ დაუჯერე, მე თვითონ დავთვალე: სამი გოჭებიანი ღორი არის, ორი მომგე ღორი, ორიც შიშაქი: - ეს გახლამთ ჩვენი ფარა!!!

მოურავი (იულონს) – ტყუის, ტყუის, აბა მერმე მე დავთვალე... (სოსიას) ქოსმანები სადღა არის, ან ბურვაკები?

სოსია – ქოსმანები ერთის მეტი ვიღამ მოგვცა? ბურვაკები რომ იყო საკლავათ, სხვა რა გებადათ, სულ გაეშუშეთ.

იულონ – მოურავო, ეგ იყო შენი ბევრი? შვიდ-შვიდი მანეთიც რომ მოგვცენ, ან მაშინ რა დადგება?

სოსია (იულონს) – დედა ღორები ასეთი გამხდრები არიან , მამაჩემის ცხონებამ, ძაღლს რომ მიუგდოთ, არ შესწამს.

მოურავი (იულონს) აკი მოგახსენეთ, ყველას ასე გააქრობს – მეთქი.

იულონ – რა ვქნათ, მოურავო, გაუჩენელი საიდან გავაჩინოთ?

მოურავი – ნახავთ ბატონო, მე იმ ღორებს რა ერთ ფულებს ამოვადებინებ, მაგის სიმტყენისათვის.

სოსია (მოურავს წყენით) – ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში(პუბლიკას) სულ ასე ცილით არა მწვამს?..

იულონ – სოსიავე, აბა ერთი წადი, ქალაქელი სირაჯი მოსულაო და ჩემ მაგიერათ უთხარ, აქ მოვიდეს.

სოსია – ეს იყო ეხლათქვენი სახლიკაციასა შევიდა.

იულონ – ჩქარა წადი, არსად გაგასწროს.

სოსია (იქით) ამთენი თრევით ილაჯი მაქვს.

მოურავი – ვინცკი აქ სირაჯი მოსულა, ჩვენთვის პატივი უცია და მოურთმეგია რამე, იმანკი აქ მოსვლაც არ იკადრა, თქვენ ბიძაშვილს უთუოდ მოართმეგდა რასმე, ამიტომ შესულა.

იულონ – იქნება უფეშქაშა რამ.

მოურავი – (ფანჯრიდან გაიყურება და პატარა ხანს უკან ისევ მობრუნდება) ბატონო, აი დაინახეთ, სირაჯი უიარაღოთ ყოფილა.

იულონ – მერე რა ვქნათ?

მოურავი – როგორ თუ რა? ღენერლის ბძანება ხომ არის, რომ უიარაღოთ ვინც ივლის, ოცდაათი როზგი უნდა დაეკრას! მოდი ეგ სირაჯი შევაშინოთ, ეგების ფულები გამოდნეს.

იულონ – მართლა, იქნება გაბრიყვდეს?

მოურავი – თქვენ იმას შეუტყეთ, როზგი უქადეთ, ფულის სესხობასკი ნულარ გაუჩემებთ და ნახამთ თუ ქრთამი არ მოგვცეს.

იულონ – თუ მაგრე არის საქმე და ახლა მე ვიცი.

გამოსვლა მესუთე

ივინივე, ავეტიქა და სოსია

ავეტიქა (შემოდის გაქონილი გრძელი მაუდის ჩოხით, ზემოდამ სარტყელი შემოუკრავს, მაღალ ქუდ დახურული, გადმოივლის, ქუდს მოიხდის და იულონს თავს დაუკრავს) კნიაზი ადღეგრძელოს ღმერთმა!

იულონ – შენ ხარ სირაჯი?

ავეტიქა – მე, აის, ავეტიქა სირაჯი გახლავარ.

იულონ – გეტყობა ღენერლის ბძანება არ გაგიგა?

ავეტიქა – ღვინოების სყიდვაზედ?

იულონ – ღვინოებიკი არა, როზგების შოვნაზედ.

ავეტიქა ჰ...! სალდათებისთვის ენდომება... კნიაზჯან, გამირიგე ფოფრათათ, ურემს სამ მანეთათ მოუტან და შენც ჩაი შაქარს მოგართმევ.

იულონ – რას სულელობ, ვინც უიარაღოდ სოფლებში დადის, ბძანება არის ოცდაათი როზგი უნდა დაეკრას და ქაღალდი ამ საქმეზედ, აქ ჩემზედ არის მოწერილი... მიხვდი თუ არა?.. შენ რატომ იარაღით არა ხარ?

ავეტიქა – მამა მიცხონდება კნიაზჯან, იარაღი მაქვს.

იულონ – აბა სად არის?

ავეტიქა –იქ, აბგაში არის.

იულონ – რას როშამს! რა იარაღი ჩაეტევა აბგაში?

ავეტიქა – ნაღები, ლურსმნები, კვერი, გაზი, ყველა მასალა შიგ არის.

იულონ – მაგას ეძახი შენ იარაღსა?

ავეტიქა – მაშ რა? ჩემი ხელობის იარაღს არა ბრძანებთ, ნაღბანდიც რომ ვარ?

იულონ –მე რაში მეკითხება შენ ნაღბანდი ხარ თუ არა? მე თოფ-იარაღს გეუბნები... არ გესმის, რომ შიშიანობა არის?

ავეტიქა – ჰოლო! ისიცა მაქვს, - ჩემს ცხენზედა ჰკილია.

იულონ – რეებს ამბობს, ეს ყურუმსადი!

ავეტიქა – ალაჯან, ნუ ჯავრობ, გული მოიბრუნე, მამიშენის ცხონებასა... ჩემ ცხენზედა ნახონ, თუ არ არის ტახტაზედა, განა გატყუებ.

იულონ – (სოსიას) სოსიაგ, აბა წადი, რა იარაღი აქვს აქ მოიტანე(სოსია გადის).

მოურავი – (სირაჯთან მივა ახლოს) ჭკვიან კაცსა ჰგეგხარ და ამ შიშიანობაში უიარაღოთ როგორ დადიხარ?

ავეტიქა – ჯარიმას დავლებ ტუ არ მექნება.

მოურავი – ოჰ! ოჰ! რა სასტიკათ ისჯება ვინც უიარაღოთ დადის.

ავეტიქა – (ტრაბახით) მე არ მეშინიან, იმითი თუნდ ოცს ლეკს მოვეკლამ.

გამოსვლა მეექვსე

იგინივე და სოსია

სოსია – (შემოიტანს ერთს დამბახას) აი ეს დამბახა ცხენის ტახტზედ ეკიდა და აბგაში მართლა ნალები, ლურსმნები და კვერი უწყვია.

იულონ – ეი, სირაჯო! ეს დამბახა რატომ წელში არა გაქვს გაკეთებული?

ავეტიქა – ვა, რომგავარდეს და მევე მომხვდეს? გიჟი ვარ?

იულონ (სოსიას) – გატენილი არის?

სოსია – არა, მე იქვე ვნახე, ცარიელი ყოფილა.

იულონ (ავეტიქას) – კიდევ მატყუებ შე არამზადავ?

ავეტიქა – მა რა არის ეგ ოხერი, კაცს არ მოჰკლამს?

იულონ (ფეხებს დაუბრახუნებს ავეტიქას) – თოფის წამალი სადღა გაქვს, რომ გაგატყაო?

ავეტიქა – წამალი? (უბეში და ჯიბეში ეძებს) აცა, აქ კი მქონდა და (რომ ვერ იპოვნის) კნიაზის მზემ, დამკარგვია

იულონ (სოსიას მკაცრად) – წადი ეხლავ როზგები მოიტანე.

სოსია – ამ მინუტში, შენი ჭირიმე(დამბახას მოურავს აძლევს), დაიჭი, ეს ოხერი(გავა).

ავეტიქა – (ხელს მიიშვერს იულონსა და მოურავზედ და პუბლიკისაკენ) ეს ტუტუცები აღარცკი ხუმრობენ! (იულონს) კნიაზჯან, შენი სიყმის მზეს, ერთი სიტყვა მათქმევინე...

იულონ (შეუჭყვიველებს) თქვი!

ავეტიქა – (ტირილით) ეს ერთი მაპატივე და მერე თუღა უიარაღოთა მნახო, გინდა დამარჩე!..

იულონ – მე ამ პირობით გაპატივებ, თუ შენ ამ დამბახას ნიშანს ესვრი და არ დააცოენ.

ავეტიქა – ეგკი ყაბუღეს! ყაბუღეს!

იულონ – მოურაო, გატენე და მოუტანე (ჩუმის ხმით) ქაღალდით გატენე.

(სოსია როზგებს შემოიტანს და დაჰყრის, ავეტიქა როზგებს რომ დაინახამს უკან დაიწვეს შეკრთომით. ამ დროს მოურავი სახლის კედელზედ ნიშანს აკეთებს, მერე გასტენს დამბახას და ავეტიქას მისცემს).

მოურავი – აჰა, ვინძლო არ შერცხვე.

ავეტიქა - (გულადათ) ჩამოდექით, ჩამოდექით! (ყველანი უკან ჩამოდგებიან)

ავეტიქა - (იულონს) კნიაზ? თოფურათ, თუ დამბახურათ?

იულონ – თოფური რა არის და დამბახური რა?

ავეტიქა (ცალის ხელით დაიჭერს დამბახას და გაიშვერს) ასრე თუ? (ახლა მეორე ხელსაც მიაშველეებს) ასრე?

იულონ – როგორც გინდოდეს.

ავეტიქა (ცალი ხელით დაიჭერს დამბახას, აიდებს მადლა და დაი ებს; თან ამბობს) ჰაღალო და სამართალი, ჰაღალო და სამართალი, ჰაღალო და სამართალი! (გავარდება დამბახა, ავეტიქა რომ დაინახამს კედელზე შავათა, სიამოვნებით ყვირილს მოჰყვება) ყოჩად ავეტიქ, ყოჩად ბიჭო! ყოჩად!

(იულონ და მოურავი განგებ ნიშანს დაუწყებენ შინჯვას)

იულონ – არც მოხვედრილი აქვს და არც ბოღს გაუვღია ახლოსა.

მოურავი (ავეტიქას) აბა სადა აქვს მოხვედრილი, რომ კიდევ ტრაბახობ?

ავეტიქა (სინჯავს ნიშანსა) აღაჯან, აკი მოხვდა?

იულონ – რადამ შეჭამა, თუ მოხვდა?

მოურავი - (ავეტიქას) დაწექ, შენი საქმე არ არის!

სოსია - (ეჭიდება ავეტიქას) დაწექ! შენისთანეები ბევრი გაგვიროზგია (პუბლიკისაკენ) მუცელზედ რომ დაგჭკრა დაფასავით ხმას არ გამოიღებს?

იულონ – ოცი როზგი დაჰკარით, ათიკი მიპატიებია.

ავეტიქა – აცა მოგახსენოთ... (ხელით ანიშნებს განზედა) ასე დამწკრივებული სულ რომ სამსე ყოფილიყო ლეკებითა, ერთსაც არის არ მოხვდებოდა?(იულონ და მოურავი იცინიან).

მოურავი – ახლა ვინ დაგიმწკრივებდა ლეკებს მაგრე განზედა?

სოსია (სიცილით პუბლიკისაკენ) ოჯახ ქორი, რა გაუტეხელი ყოფილა!..(იულონ დაჯდება და ფიქრობს)

მოურავი (ავეტიქას) – მე ერთს რასმე გირჩევ, მეტი გზა არა გაქვს.

ავეტიქა – რასა მამიშენის ცხონებასა?

მოურავი - (ხელს მოჰკიდებს, ცალკე გამოატარებს და ჩუმის ხმით) თუ გინდა რომ გაპატიო, ხუთიოდე თუმანი მთავარი ბატონსა.

ავეტიქა - (წყენით) რაო? ფულიო? ვინ მომცა, გროში მაქვს?..

მოურავი – არა და, მე ვერ გაპატიებ.

ავეტიქა – თუნდა დამახრჩეთ, ფული არა მაქვს.

მოურავი – შენი ნებაა(თავს დაანებებს და წინ წამოვა)

სოსია – მაგ გაბერილს ფულის მეტი რა ექნება. აბა, ორიოდე ავაწნა.

იულონ – რას ტრიალებს, დააწვინეთ.

ავეტიქა (პუბლიკისაკენ) მეტი გზა არ არის, დავპირდები და მოვატყუებ...(იულონს)
კნიაზ! პატივსა გცემ, მაპატიე.

იულონ – მერე რა პატივისცემა შეგიძლიან შენა?

ავეტიქა – მაგას მოურავი მოგახსენებს.

მოურავი (ისევ წამოვა ავეტიქასაკენ) ჩემს სიტყვაზედ მოხვედ?

ავეტიქა – მაშ რა ვქნა? მგლების ხელში ჩავარდნილი, ისე დაეხწევა?

მოურავი – აბა რას იძლევი?

ავეტიქა – მე ეხლა რა მაქვს?

მოურავი – მაშ რითა ყიდულობ ღვინოებსა?

ავეტიქა – ჩემი სიტყვა ფული არ არის?

მოურავი – როგორ მითომა?

ავეტიქა – რასაც ვიტყვი, ავასრულებ! (პუბლიკისაკენ) სულ ასე ვატყუებ სულელ ხალხსა.

მოურავი – რას იძლევი?

ავეტიქა – თელავში წამომყევ და თორმეტ მანეთს მოვართმევ ბატონსა, განა კრიუანგი ვარ?

მოურავი – წადი, შეგარცხვინოს ღმერთმა! მაგისათვის შუამავლობას არ გაგიწევ.

ავეტიქა – მეტი არ შემიძლიან.

მოურავი – ტყავი რომ აგებრება?

ავეტიქა – თუნდა შემჭამეთ, აბაზსაც ვერ მოუმატებ.

იულონ - (მოურავს) რაღას აყბედებ მაგ სირაჯსა?

(მოურავი და ავეტიქა გამობრუნდებიან იულონისაკენ)

მოურავი – გეხვეწებათ მაპატივეთო.

იულონ – ნიშანს რომ ვერ მოახვედრა?

მოურავი – შემდგომ გაივარჯიშებს.

იულონ – რადგან სროლა არა სცოდნია, სიმღერა ხომ ეცოდინება? ერთი იმღეროს და ვაპატიებ.

მოურავი – (ავეტიქას) გესმის რას გბრძანებს ბატონი?

ავეტიქა – ეგეც ყაბულს, თქვენ თვალში იყოს!

იულონ – კარგათა სთქვი.

ავეტიქა – (მღერის მუხამბაზათ)

ახმახის ხელში ჩავევარდნილვარ მიხეთქამს გულსა,

ასიგნაციას ხომ არა ვჰსჭრი, რომ მოხოვენ ფულსა,

ვინც მე მოხოვს რასმე, გამომართმევს, ამომხდის სულსა!..

(პუბლიკისაკენ) გთხოვ, მიპატიოთ, მექმენით შემწეთო,

(ორჯულ) შენც მომეხმარე, კოტრების ღმერთო!..

იულონ – ბარაქალა! ახლა კი მიპატიებია.

ავეტიქა – მადლობელი გახლავარ (თავს დაუკრამს იულონს, მიდის კარისაკენ და მოურავს ეუბნება) მოურავო, რაც გითხარი, ისიც მოახსენე ბატონს აი. (სოსიას) ყმაწვილო გამაცილე, შენ გარდას(პუბლიკისაკენ) ეს ტუტუცები რა სულელები არიან, პუტონჩი ღრაუდანინი ვარ და ესეც არ ციცან როზგი არ დამეკვრება...(გავა და სოსიაც თან გაჰყვება)

იულონ (მოურავს) რაო? რა გითხრა? ფულს გვაძლევს თუ არა?

მოურავი – თელავში წამომყე და იქიდან თორმეტ მანეთს მოვართმევ ბატონსო.

იულონ – ოჰ, ბევრი არ მოუცია... მოუტყუებხარ.

მოურავი – მაშ მივეწევი და თავს არ დავანებებ.

იულონ – დაეხსენ, ყვირილს დაიწყებს, არავინ გაიგოს, სირცხვილია.

მოურავი – მართალსა ბრძანებთ, ტუტუცი სომეხია, დაიდრიალებს და ქვეყანას შეყრის, ქრთამსა მთხოვენო.

იულონ – ცოტა არის თუ ბევრი, რა ვქნათ, მეტი გზა არ არის, ისევ ღორები უნდა გავყიდოთ.

მოურავი – შენი რისხვა არა მაქვს, იმ ღორებს კარგა ფულს ამოვადებინებთ.

იულონ – მაშ წადი, ნუღარ დაიგვიანებ და წაასხით ღორები გასასყიდათა.

მოურავი – ეხლავ თქვენმა მზემ(გავა).

იულონ (მარტო) ის ღორები, რაც უნდა იაფათ გაიყიდოს, ქალაქში ხომ მაინც ჩამიყვანს და მანამ, იქ სასესხებელს ფულს ვიშოვნი სადმე, ვიმყოფინებ, მაგრამ მანამ მოურავი წავა და მოვა, მე დამაგვიანდება(კარზედ მიდგება და უძახის) მოურავო, მოურავო! (მოისმის ხმა მოურავისა) ბატონო.

გამოსვლა მეშვიდე

იულონ და მოურავი

იულონ – ნუ წახვალ, აქ მო, რა გითხრა.

მოურავი – რაღას მომაბრუნეთ?

იულონ – იცი რა ფიქრი მომივიდა? მანამ შენ თელავს წახვალ, ღორებს გაჰყიდი და მობრუნდები, იმ დრომდინ მე დამიგვიანდება, ბარემ ეხლავ მეც წამოვალ და ღორებს გაჰყიდი თუ არა, მე და შენ იქიდანვე ქალაქს წავიდეთ.

მოურავი (შეერთომით) ქალაქში რა გვინდა ბატონო?

იულონ – ეგ ჩემი საქმეა და არა შენი.

მოურავი – მეც მინდა ვიცოდე, რას მიმაღამთ?

იულონ – ძალიან დიდი ანგარიში მაქვს.

მოურავი (წყენით) ვაი ჩემს თავს! უთუოდ ფოდრატიში შესვლას აპირებთ და დავიღუპებით!

იულონ – (იცინის) – ფოდრათი განა ყველას დაღუპამს?

მოურავი – შენი რისხვა არა მაქვს, მე ფოდრათით აშენებული ერთი ქართველი არ მენახოს!

იულონ – მაგის ჯავრი ნუ გაქვს, შენ ეს მითხარ, სახლ-კარი ვის ჩავაბაროთ?

მოურავი – რა ვიცი, უჩემოთ ყველა დაგელუპებათ.

იულონ – გლახას ჩავაბარებ.

მოურავი – სად მოიცლის, გუთანი უნდა გაიტანონ.

იულონ – მაშ სოსიას ჩავაბარებ.

მოურავი – ჯერ რომ მე თავს ვადგავარ და ყველას აწყალებს; უჩემოთ ხომ რაღასა იქს?

იულონ – არა მგონია.

მოურავი (წყენით) – თქვენ არას დაიჯერებთ და რა ვუყო.

იულონ – მჯერა, მაგრამ...

მოურავი – მაშ მე გახლდებით აქა და ის წაიყვანეთ.

იულონ – არა, უშენობა არ შეიძლება, იმისთანა საქმე მაქვს!

მოურავი – რასაკვირველია ფოდრათის ამღებს, კაცი უნდა ჰყვანდეს ერთგული.

იულონ – ფოდრათი რას მიქვიან, რა ჩემი საქმეა... ერთს საიდუმლოს გეტყვი, მაგრამ არავისთან კი გრჯოდეს.

მოურავი – რა პასუხია, იქამდის ღმერთი როგორ შემლის.

იულონ – რაც მე ლეკებმა დამღუპეს და შენი ქალბატონი წაიყვანეს, მას აქეთ ჩვენ ოჯახს ბარაქა აღარ მოეკიდა. ახლა მე მინდა ქალაქში ჩავიდე, ტანისამოსი შევიკეო და დროშკით ავიარ-ჩავიარო; ვაჭრები რომ დამინახავენ და გაიგებენ ქვრივი ყოფილად, დღეში ხუთი მოციქული მომივა ჩემი ქალი შეირთეო... ვგებას ერთი მზითვიანი ქალი ვიშოვო... შენ თვითონ იფიქრე, რაღა დროს ჩემი გოგოებში თრევა არის?..

მოურავი – ჰ...! ეგ ძალიან კარგი ფიქრი მოგსვლიათ. მეტი აღარ შეიძლება(ფარისევლურად) მართლა რომ იტყვიან, დიდ კაცს დიდი ფიქრი მოუაო. აბა, ეგ არის აი... ჰსწორეთ, დიდს მზითვიანს ქალს იშოვნით.

იულონ - (სიამოვნებით) მაშ, აბა სოსიას დაუძახე!..

მოურავი (კარებიდან უძახის) – სოსიავ, სოსიავ! ბატონი გიბრძანებს.

გამოსვლა მერვე

იგინივე და სოსია

სოსია – რას მიბრძანებთ ბატონო?

იულონ – იცი რა გითხრა? მე მინდა ქალაქს წავიდე და მოურავი თან წავიყვანო, შენ სახლკარი მინდა ჩავაბარო... აბა, ესლა გამოგიჩნდება ჩემი ერთგულება... შენ იცი, როგორც ამ ოჯახს კარგათ მოუვლი.

სოსია – თქვენი ნება არის, რაც შემეძლება გავუფრთხილდე, ღმერთმა სომ იცის.

მოურავი - (სოსიას) შენებურათ ნურას გააფუქსაატებ.

სოსია – თუკი გული არ გენდობათ, თავი დამანებეთ.

იულონ – მოურაო! აბა ყველა ჩააბარე სოსიასა.

მოურავი – ეხლავ შენი ჭირიმე...(თავისთვის) რა არის აქ, რა ჩავაბარო(სოსიას) აი, ამ სახლში ფანჯარას სამი თვალი მინა აკლია, არ გააღო, ქარმა არ დაამტვრიოს.

სოსია – სულ დამტვრეულები არ არის? აბა მთელი მინა რომელიდაა? (ხელს იშვერს ფანჯრისაკენ. მოურავი გავა) ბატონო, ახლა მაგრე თვითო-თვითოდ რომ პირში არ ჩამიდოს, განა არ ვიცი ამ სახლში რაცა გვაქვს? წლობით ხომ არ მიდიხართ?

იულონ – ჩქარა დავბრუნდებით, მაგრამ რიგი ასე არის, უნდა ჩაიბარო; რა ვიცი რა დაგვემართოს, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

მოურავი (შემოაქვს ორი ქვაბი, სინი, ტაფა, თითბრის შანდლები და შამფური. სოსიას) – აი, ესენი და აიმ წალოდან ქუეშაგებიც გამოალაგე და ტახტზედ დაალაგე, ზედ ეს ხალიჩა გადაფინე, არა გაფუჭდესრა; ეს სპილენძიც აქ იყოს, გარეთ არსაით გადაგვიცვივდეს... გუთანს ხომ დღესვე წაიღებენ... ამას გარდა ოთხი ხარი არის და სამი კამბეჩი, არსაით დაგეკარგოთ; ქათამსა და ინდაურებს ხომ მარინე მოუვლის... ახლა შენ იცი, მეტი აღარა მრჩებარა ჩასაბარებელი... ღორები არის და იმას ჩვენ წავასხამთ.

იულონ – (მოურავს) მაგის მეტი აღარა გვაქვსრა?

მოურავი – თუ გაქვთ და ახლა თქვენ მოიგონეთ.

იულონ – კაცო, სკივრი სადღა არის? შიგ ხომ სადმართო წიგნები აწყვია.

მოურავი – სკივრი რამთენი ხანია სულ დაიშალა და წიგნები მარნის თახჩაში შევაწყვე.

იულონ (შეკრთმით) – ვაი შენ ჩემო თაო! ხომ ქათმები გააფუჭებდნენ?

სოსია – იქ ქათმები ვერ შევლენ, წინა მხარე ნივრით გამოჭედილია.

იულონ (ფიქრობს) – სხვა აღარა არის რა?

მოურავი – მართლა, თოფ-იარაღი?

იულონ – მე ხომ ავეტიქა არა ვარ? იარაღს ზედ ვერ დავიკიდებ?(სოსიას) ესკი ვერ გითხარ, ზვარში ხშირათ ჩადი ხოლმე, იმერლებ კარგათ ამუშავე.

სოსია – ან რა ვსო, ან რა ვჭამო, ამისას არას მეტყვიო?

მოურავი – ახლა შენ ბატკნის ბოზბაშიც მომინდომე(ესეც გავა).

სოსია – (სიამოვნებით პუბლიკისაკენ). ახლა კი გეშველა, დაკეტე ბიჭო სოსიავ კარები და მოუჯექ შენს მარინეს! (კარებს დახურამს. ამ დროს ფარდა დაეშვება)

მოქმედება მეორე

თეატრი წარმოადგენს ოსანას ოთახს, რომელსაც უკან და მარცხნივ კარებები აქვს, ორი ფანჯარა უკან კართან და ცალ მხარეს ტახტი დგას ხალიჩით მო ენილი, სამი სკამი დგას და ტახტს წინ სტოლი, რომელზედაც ძვეს სარკე და დგას სამთელი.

გამოსვლა პირველი

ოსანა (ტახტზედ ზის, ცალი თვალი ხელსახოცითა აქვს აკრული, ზუზუნით). ვაი, ჩემს წერასა! ობოლ, ოხერი... ქა! ლამის ასე დავბერდე, ქმრის ხმა არცკი გავიგონო?.. ჩემი ვინმეები სიხარულითა სქდებიან, დღეს არის თუ ხვალ მოკვდებო და იმისი ზინეთი ჩვენ დაგვრჩებო, ცხონებული მამაჩემი გეგუაც ასე არა ფიქრობდა!..

გამოსვლა მეორე

შემოდის მაქთადა, ყასაბ ნოიას დედა, თაღხად ჩაცმული, ჩადრ-წამოსხმული, ქოშების პრაკუნით, გადმოივლის ოსანასაკენ და თავს დაუკრამს, ოსანაც ფეხზედ წამოდგება და უთავაზებს.

ოსანა – აქეთ, ჩემკენ მობძანდი გენაცვალე.

მაქთადა – (მოუჯდება ოსანას გვერდით) ოსანჯან, ხომ კარგათ გიკითხო, დილას აქეთა?

ოსანა – ჩემი ვინმეებისაგან ფიქრის მეტს რასა ვიქ?

მაქთადა – აი, შვილო, ესეც ვე ფიქრები სულ წავა-წამოვა... ასეთი საქმე მიქნია შენთვის, დუნიაზედ ვერავინ იქმოდა მეთქი... ახლა შეულო, გინდა დამიმადლე, გინდა ესეც გეურქასავით დაიწუნე მეთქი... ნონიას სულის მზემ, ამთენი თრევით ჰარაქათი აღარა მაქვს და მე ამაზედ უკეთესს ვედარავის მოვსძებნი – მეთქი.

ოსანა - (სიამოვნების ღიმილით) ვინ გიპოვნია? ვითომ ხეირიანი ვინმე არის?

მაქთადა – ხეირიანო? უი ჩემს თავს! აბა რა გითხრა მეთქი: კნიაზი, დიდი ყმისა და მამულის პატრონი; ოჯახი დუღს და გადმოდის!.. მართალი არის ნაქერივალა, მაგრამ ჯერ ჯეილი ვაჟია... დიდი ხანი არ არის, რაც მაგას ცოლმა მოუკლეს.

ოსანა – (წყენით) ნაქერივალიო? ვუი ქა, ეგ ჭკუაში არ მოვიდა.

მაქთადა – რა უ ავს ქა! ქვეყნის პირის წყალი კნიაზი არის- მეთქი.

ოსანა - ამას წინათ ტერტერას დედამ მითხრა: პირველო ცოლ-ქმარი საიქიოს ერთმანეთს არ მოშორდებიანო და ვისაც მეორე და მესამე ცოლი შეურთამს, ისინი მარტოკები ეყრებიანო... მერე მე, იქ, ვის ანაბარა უნდა ვეგლო?

მაქთადა – ერთსა და ორს მცოდნესთან მეც თავი მიძევს, ჩემა ცხონებამა... მაგრე კი არ არის – ვინც აქ ძალიან უყვარს, საიქიოსაც იმას არ მოშორდებაო.

ოსანა - მაგას გარდა, შვილები ხომ ეყოლება და გერები მე რა კეთილს მიზმენ?

მაქთადა – ერთათ ერთი შვილი ჰყოლია და ისიც ვაჟი რუსეთის სკოლაშია... გატეხილი უნდა გითხრა, ოსანას მზემ, სხვა შენი მთხოვნელი არავინა ჰსჩანს მრთელს ქალაქშია.

ოსანა - თუ მაგრე არის და რაც იქნება-იქნება, გულ- მკვდარ ქაბატუას ქიშპით გაუთხოვარი კი არ დავრჩები და ვინც იქნება შევირთამ.

მაქთადა – საქმე საქმეზედ არის და ახლა შენ იცი.

ოსანა - რა უთხარ, როგორ გაარიგე?

მაქთადა – როგორ და, უთხარ თუ, გავიგე კნიაზჯან, შენ აი, ცოლის შერთვა გდომებია-მეთქი და რადგან ჩემი ხელობა მაჭანკლობა არის მეთქი, მოველ რომ კაი ვინმე გაგირიგო – მეთქი...

ოსანა - ჩემი ხომ არა გითქომს-რა, ქმრის შერთვას ძალიან მონდომებული არისო?

მაქთადა – რა პასუხია, ეგ რა სათქმელი იქნებოდა! უთხარ, თუ მითომ შენ კიდევ ნახს ეწევი.

ოსანა - თუ ყმაწვილი ვაჟი მაინც არის, ალბათ ხეირია...

მაქთადა – ჯერ ბათხი არის მეთქი!.. კნიაზმაც მკითხა, როგორი ქალიაო. შენის გულისთვის სული დავწვი, რამთენი ტყუილი უთხარ... ასეთი ღამაზი არის-მეთქი, როგორც ჩვენი შუშანიკი გაგეგონოს – მეთქი, ასეთი თვალები აქვს – მეთქი, თუ როგორც ჯეჰრანი – მეთქი... გავაგიჟე რადა! ოსანა. თუ მაჭანკალმა ცოტა –მატა ტყუილი არა თქვა, არ იქნება, მაგრამ მაგისტანა ქება რომ დავხარჯე ვაი თუ ნახვა მოინდომოს, როგორც კნიაზებმა იციან – მერე?

მაქთადა – ეგეც მომიხერხებია... უთხარ თუ, საყდარში ჩუმათ, შენ აქედან მიხვალ, ის იქიდანა-მეთქი... ამ თავით ნახვა არ იქნება-მეთქი, რადგან ზინეთის თაობაზედ ბევრი მტრები ჰყავს-მეთქი და თუ შეიტყო ვუნმე საქმეს ჩაგვიშლიან-მეთქი.

ოსანა - ახლა ის ვაჟი ფულსაც თხოულობს?

მაქთადა – მაშ! ცარიელ გითხოვს? – უთხარ თუ დიდი ზინეთი აქვს-მეთქი და სულ შენ სახელზედ დაამტკიცებინებს-მეთქი; უთხარ თუ, მარტო ორი ვირის საპალნე სულ ჭრელი აბაზები აქვს-მეთქი.

ოსანა - ვიჰ, ნეტავი დამტკიცება არ გეთქვა, მაგრამ არა უშავს-რა, მადლობელი ვარ! რაც გიქნია, შენი სულისათვის გიქნია... ამას კი გეხვეწები, არავისთან არ წამოგცთეს; თუ ქაბატუას პირში ჩავარდა, - იცოდე ქვეყნის პირშიაც ჩავარდება – და მთლად საქმე წახდება.

მაქთადა – უი, ჩემ თავს! ქა, ვისთან გავაჩემებ, - მე უფროც მეშინიან არავინ გაიგოს – მეთქი.

ოსანა - უნდა ერთი კიდევ წახვიდე და ჰსწორე შეიტყო, ქორწილი როდისა ვქნათ?

მაქთაღა - ქვეითი სიარულით ჰარაქათი აღარა მაქვს და რა გიყო.

ოსანა - (ჯიბიდან ამოიღებს მანეთს და აძლევს) აი, ეს მანეთი, დროშკის ქირათ გეყოფა და როგორც დაგპირებივარ ოცს თუმანსაც ჩემი ჯვრის წერის მეორე დღეს მოგცემ, მამი ჩემის გეუას ნათელმა.

მაქთაღა - (მანეთს გამოართმევს და ჯიბეში ჩაიდებს) რასაც მაგისტანა სიკეთესა იქ, შენი თავის ქება იქნება(წამოდგება) ახლაკი მინდა შინაც მივიხედო, ჩემი სახლ-კარი ძაღლების ჰამარა გდია.

ოსანა - თალაღა სადღა გყავს?

მაქთაღა - ოსტატიანთას შვილო, ხომ იცი ისიც თავისის ხელითა რჩება - მეთქი.

ოსანა - შენ ცხონებას, თალაღა ამაღამვე აქ გამომიგზავნე, ჯვარსაწერი კაბა შემეიკროს, - იამნ უფრო მოდნა იცის.

მაქთაღა -

ბატონი ხარ, წავალ და გამოვგზავნი - მეთქი(კარისაკენ გასწევს და ოსანაც კარებამდის გააცილებს; მაქთაღა გავა და ოსანა უკანვე მობრუნდება)

ოსანა - (ხელებს გაშლის, ზევეთკენ იყურება და თითქმის ტირილით) თელეთის მადლო! ფეთხაინის მადლო! სუფსარქისის მადლო! ნორაშნის მადლო!..

გეხვეწებით, ქაბატუას ქიშპზედ კნეინა გამხადეთ!.. (მივა სტოლთან, ხელში აიდებს სარკეს და შიგ იყურება) ქა, რა მიჭირს, რომ მწუნობენ? თუ არ ჩემი მტრების მიეთ-მოეთი ენით, რათ დავრჩებოდი ორმოცის წლისა გაუთხოვარი (თვალზედ ხელსახოცს ისწორებს) ეს ცალი თვალი ხომ არცკი მიჩანს?

გამოსვლა მესამე

(ავეტიქა შემოვა და პსანას თავს დაუკრამს რამდენჯერმე, მაგრამ ოსანა ისევ სარკეში იყურება)

ავეტიქა – ვა, აღარ მოიხედამ? ერთი საათი არის თავს გიკანტურებ.

ოსანა - (მობრუნდება ავეტიქასაკენ) ვუი ქა! ვერ დაგინახე.

ავეტიქა – რას იპრანჭები? პატარძლათ ჯდები თუ?

ოსანა - მითომ რა მასხარა მხდი? – მე რა ღირსმა ვარ პატარძლობა...(დაჯდება)

ავეტიქა (დაჯდება ხენეშით) მაგას თავი დავანებოთ... ოჰ, დავიღალე... ქაბატუამ გამომგზავნა, შინა ხარ თუ არაო, მაინც სულ იმდურები, არ მოდიხართო და ნათლი ჯალაბი და ჩვენ დედა-ბუდიან ამაღამ შენთან მოვალთო.

ოსანა – (წყენით) ქა, მერე ვინ გულ-კვდარი დაემდურა? მე ამაღამ სხვაგანა ვარ დაპატიჟებული, - ბოდიში უთხარ, შენი ჯანის მზეს, - ვერ დავდგები წაუსვლელი.

ავეტიქა – აქამდის კიდევ წამვიდოდნენ, მე ბაზარში შევგვიანდი.

ოსანა – ჩქარა წადი, შენი გულის ჭირიმე; შინ არ არის, წასულა-თქო, არ მოვიდნენ, ესლავ მივალ, თუ ესლავ არ წახველ, მე შენც აღარ მოგიცდი, წავალ.

ავეტიქა – მითომ რა არის, ასე რაზედ გეწყინა ჩვენი მოსვლა? – თუკი მაგრე არის მიჟამშიაც აღარ გავივლით თილიფარა ენით მაინც იტყოდი მიბრძანდითო.

ოსანა – ახლა შინ არა ვარ და მერე დაუძახებ, მერე.

ავეტიქა – ღმერთმა შეარცხვინოს მერე შენი მაწევარი, მე იმიტომ უფრო მოველ უნდა შეგეხვეწო რაზედმე.

ოსანა – რაზედა ქა?

ავეტიქა – ჩვენს იქით რომ სადუქნე ადგილები გაქვს, ხომ ისე გდია და მე მომე, დუქნებ გავაკეთებ, კაი ქირა შემოვა და ქირაში წილს დაგიდებ.

ოსანა – ქა, რა გინდათ ჩემგანა? ვერ შეიტყუეთ რომ, ჩემი არა შეგაჭამეთ რა?

ავეტიქა – ჩიხა მახებს თავი დაანებე, ბოლოს ხომ ისევ ჩვენია?

ოსანა – ყურიდან ბანბები გამოიძრეთ. ყველა ჩემთვის მინდა!

ავეტიქა – რა ოხრათ გინდა? ქმარი არა გყავს და შვილი, ამას იქით უფრო სულ არ გელირსება.

ოსანა – თქვენი თვალის მოსათხრელათ ქმარს შევირთამ და პირში ჩაღვას გამოგავლებთ.

ავეტიქა – ვა, ვინ ოხერი იქნება ეხლა შენ შევირთოს? აქამდისაც ძალიან გინდოდა გათხოვება, მაგრამ ზედაც არავინ შემოგხედა... და ჩვენ რა გიყოთ?

ოსანა – გაგიქრეს სიყმე, სულ შენმა და დედიშენის ენა პირმა ქნა... ვინც ამიჩნდა, შენა და იმან გადახიბლეთ, ეშმაკის თესლო!

ავეტიქა – (გაჯავრებული წამოდგება) ნუ ამლაშებ! გეყოფა ტარტარი, ენა მჭვარტლიანო, თორემ მაშინ არ იყო ქუჩაში ყვიროდი... მე კიდევ იმ ავეტიქას მეძახიან, აი!...

ოსანა – (ორივე ხელებით ქოქოლას აყრის). ჩავპტიტე შენისთანა სიძეს ვაჟმა! იმისთვისკი გინდივართ შენ და დედაშენსა, რომ შემსოთ, შემჭამოთ და ქვეყანაში კი მანძი მოჰსდეთ: „საძაგელი არის, არავინ შეირთოთო“... აბა ხელი დამაწე, ეხლა სხვა დროებაა, ჩაგაღპობინებ ციხეშია...

ავეტიქა – დიახ, დიახ, ჩამაღპობენ!.. ხუთ თუმნათ, საითაც გინდა იქით ვერ დაგატრიალებ საქმესა...(გასწევს კარისკენ) აი, წავალ და ხვალვე დუქნების საქმეს შევეუდგები, მუშას დავაყენებ მოდი და იქ მელაპარაკე(გავა).

ოსანა – (პუბლიკისაკენ) ჰხედამთ, ამ გულმკვდარსა, რეები მითხრა? როდემდის უნდა ვიყო ამათგან ამ ცეცხლში?

გამოსვლა მეოთხე

შემოდის მაქთაღა, ოსანა წინ მიეგებება.

ოსანა – ქა, ისევ დაბრუნებულხარ? ჩემმა ბიძას ვაჟმა, გზაზედ ხომ არა გნახა?..

მაქთაღა – ვუი ქა, სად იყო? ხომ არა შეუტყვია რა?

ოსანა – არა შეუტყვია რაკი, დუქნების ალაგი რატომ არ მომეო, - წამეხსება.

მაქთაღა – გაქრეს, რაც იმას აღარავინ რა დაანებოს, იცი თუ მე რაღათ მოვბრუნდი, კნიაზის კაცი დამხვდა და მითხრა, კნიაზმა თუ ქალი არ მაჩვენეო, ვერ შევირთამო... ვილაც გასახეთქს უბაგებიხარ.

ოსანა – (წყენით) ახლა რაღა ვქნათ?

მაქთაღა – რა და გნახოს, მითომ რა იქნება?

ოსანა – ვაითუ იღბალმა მიმტყუნოს და ცუდ თვალზედ დამინახოს.

მაქთაღა – თუ არა და, იცი თუ კიდევ, გზაზე რა ფიქრი მიქნია? ჩემი თაღალა ხომ არ იქნება მეთქი, მოდი შენ იქით სახელში დაიმაღე, კნიაზს მოვიყვან და კარებიდან თაღალას დავანახებ და ვეტყვი ეს არის მეთქი, მერე ჯვარის წერაში კნიაზი სწორეთ იქით მხარეს იდგება საითაც კარგი თვალი გაქვს და მეორე მხარესკი მაშინ სინჯვას ველარ მოჰყვება.

ოსანა – ეგ ფიქრი ძალიან მომეწონა. ღმერთმა გაცხონოს!.. დედაშვილობამ, სულ ჭრელ მანეთებს დაგიოთვლი.

მაქთაღა – რაღა თქმა მინდა ვიცი, ვიცი შენი კეთილი გუნებისაგან.

ოსანა – თაღალა რომ დავაბარე რატომ არ მოიყვანე?

მაქთაღა – გარეთ ბალკონზედ დავაცოთეინე.

ოსანა – დაუბახე აქ შემოვიდეს.

მაქთაღა – კნიაზიც დაბარებული მყავს, საცაა მოვა.

ოსანა – თაღალა შემოვიდეს, მაშ მე იქით ოთახში გავალ და დავიმაღები.

მაქთაღა – (უბახის) თაღალო, თაღალო, აქ შემოდი შეილო.

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და თალალა.

შემოდის თალალა, ქალი ყასაბ ნონიასი, თექვსმეტი წლისა. სახით ძალიან ლამაზი და ტანადი, კეკლუცათ გადმოივლის და ოსანას თავს დაუკრამს.

ოსანა – (წამოუდგება), მობძანდი გენაცვალე, ხომ კარგათ გიკითხო?

თალალა – გმადლობ, მშვიდობით გახლავარ.

ოსანა – დაბძანდი თალალჯან.(თალალა სკამზედ ჩამოჯდება, ოსანა მაქთაღას განგებ ჰკითხავს) მაქთაღჯან, თეთრი მატერიების ნიმუშები რომ დაგაბარე, არ მომიტანე?

მაქთაღა – ვუი, ჩემს თავს, დამავიწყდა.

ოსანა – ნუ შეწუხდები, წავალ და ბიჭს გაგვზავნი(ოსანა გავა, მაქთაღა კარებში ჩადგება, ხშირ-ხშირად გარეთ იყურება, პატარა ხანს უკან გამოჩნდება მაქთაღას უკან იუღონ, რომელიც შეჰყურებს თალაღას და ხმამაღლა იტყვის: კარგი ყოფილა! უცხო რამ არის!.. თალაღა ამათ განცვიფრებული უყურებს. ოსანაც ჩუმათ მეორე კარებიდან იყურება, ასე რომ თავი უჩანს).

მაქთაღა – კნიაზჯან, ჯვრის წერა ხვალღამ უნდა იყოს, აი დაყოვნების მიზეზი აღარა იქნება-რა.

იუღონ – თუნდ ამადამეე მოგახერხოთ, - ქალი მომეწონა და რაღას მოუცდით.

მაქთაღა – ჯერ ჯვარსაწერი კაბა არა აქვს მზათა.

იუღონ – კაბა ხომ სხვაც ექნება და რაც იყოს ჩაიცოს.

მაქთაღა – თეთრს მატერიას იმზადებს.

იუღონ – რა საჭირო არის, ისეც კარგათა შეენის.

მაქთაღა – აკი მოგახსენე, რომ ნახო ისე მოგეწონება რომ გაგიჟდები და შენვე შემეხვეწი მეტქი.

იუღონ – ჯვრის წერა რომელ ეკლესიაში უნდა იყოს?

მაქთაღა – წმინდა გიორგის ეკლესიაში; ისე ჩუმათ მოდი, რომ არავინ გაიგოს... როგორც მითქვამს, ბევრი მტრები ჰყავს და ჩუმათა ჰსჯობს.

იულონ – წავალ და ეხლავ მოვემზადები, დაგვიანება აღარ ვარგა, შენც ქალი წამოიყვანე(იულონ მიდის. მაქთაღა შინ შემოვა)

თაღაღა – პარ დედაჯან, ვინ იყო ევა?

მაქთაღა – ოსანას საქმროა შვილო.

თაღაღა – მე რას მიყურებდით, გაშტერებული დავრჩი.

მაქთაღა - ოსანა შენ ეგონე მეთქი.

თაღაღა (განცვიფრებული) ქა! ჯერ ოსანაკი არ უნახამს იმ უბედურსა?

მაქთაღა – არა, ისე ვახერხებთ შვილო, ეგები ღმერთმა მომხედოს და გავასაღო, ორიოდე თუმანს გამოვრჩები.

თაღაღა – რათ ატყუებ იმ საცოდავსა?

გამოსვლა მეექვსე

ოსანა –(შემოვა მხიარულათ და მაქთაღას გულზედ მოეხვევა). შენი გულის ჭირიმე შენი, თუ მე ქალი ვარ, შენ სიკეთესკი გადავიხდი... იქიდან დავინახე, ქა რა კაი ყოფილა.

მაქთაღა – მიხარებია, ჯვრის წერას ამაღამვე ჩქარობს.

ოსანა – კაბა რომ არ შემიკერამს?

მაქთაღა – მინამ თონე ხურს პურს მანამ დაიჭერსო!.. განა კაბები არა გაქვს? რაც იყოს ჩაიცვი.

ოსანა – მართაღს ამბობ... ძლივს ჩემს ბედს გაუღვიძნია და კაბას რაღას მოუცდი, არავინ შეშალოს. სახლი ვის ინაბარა გაუშოთ? ბიჭი ხომ კუხნას ვერ მოშოდება, ვახშამი უნდა გააკეთოს.

მაქთაღა – სახლი თაღაღამ შეინახოს და ჯვრისწერა რომ გათავდება, მე დაეწინაურდები და ამას შინ წავიყვან.

ოსანა – (მაქთაღას) მაგრე ვქნათ გენაცვალე(თაღაღას) არა თაღაღაჯან, შენ რას იტყვი?

თაღაღა – თქვენი ნება არის.

ოსანა – კარები ჩაკეტე და ისე იჯექ არავინ რა გაიტანოს.

თაღაღა ბატონი ბძანდები.

ოსანა – აბა, მაქთაღაჯან, წავიდეთ, კაბა იქით სახლში მაქვს(მივა სტოლთან სარკეს აიღებს და ორნივ მიდიან)

მაქთაღა – მიმავალი თაღაღას) აი, მივალთ შეილო და კარები ჩაკეტე, ისე იყავ(გავლენ)

თაღაღა – (მარტო პუბლიკისაკენ) ეს ბებიაჩემი ჰსწორეთ წაწყმდება... მაშ რა მოუვა? რამთენს ამისთანა საცოდაობაში ჩამდგარა... პატიოსანი კნიაზიც მოატყუეს!... (გამობრუნდება კარებს ჩაჰკეტამს, შემდეგ მივა და ტახტზედ წამოწვება. პატარა ხანს უკან მოისმის კარის ბრახუნი).

თაღაღა – პარ დარეჯან, შენა? (მივა კარებს გააღებს და რა დაინახამს რომ ვიღაც არის, გამოიქცევა და დაიბახებს) უი, ვინ არის ისა?

გამოსვლა მეშვიდე

ავეტოქა (შემოვა თაღაღას დაუკრამს და პუბლიკისაკენ) ვა, რა ეშინიან (თაღაღას) ოსანა სადღაა?

თაღაღა - (თაეჩაღუნული მორცხვით) არ ვიცი.

ავეტოქა – მაშ აქ რას უზიხარ, თუ არ იცი?

თაღაღა – სახლი მე ჩამაბარა და თითონ სხვაგან წავიდა.

ავეტიქა – აკი არ ვიცოდ? რა გითხრა, ამაღამ არ მოვალო? მე მეგონა ისევ აქვე მოუსწრობდი.

თაღალა – იქნება მოვიდეს... აბა კუხნაში წადი ბიჭსა ჰკითხე, ჰსწორეთ იმას ეცოდინება.

ავეტიქა – განა შენ კი არ დაგიჯერებ(სიამოვნებით) კაკაბო ერთი ეს მითხარ, შენ ვისი ნუგბარი ხარ? (სანთელს აიღებს და თაღალას ახლო მიანათებს) ოჰ, რა ღამაში ყოფილა! ახლა მითომ რა ვქნათ, რომ ღამაში ხარ?

თაღალა – იქით წადი ვიღაცა ხარ.

ავეტიქა – ვინ მამაძაღლი გავა.

თაღალა – ეხლავ დავიყვირებ.

ავეტიქა – ვა, დაიყვირე რა, მე ჩემი ბიძას ქალთან მოველი.

თაღალა – ხომ ხედამ არ არის შინა.

ავეტიქა – ჰოდა სახლს შეუნახამ.

თაღალა – შენთვის როდი ჩაუბარებია.

ავეტიქა – მამა გიცხონდა, ჯერ ერთი, ეს მითხარ შენ ვისი ქალი ხარ?

თაღალა – რომ გითხრა წახვალ?

ავეტიქა – მაშინათვე მეთქი.

თაღალა – ყასაბ ნონიას ქალი ვარ!

ავეტიქა – მართლა?

თაღალა – დიას!

ავეტიქა – გათხოვილი ხარ თუ არა?

თაღალა – არა!

ავეტიქა – (სიამოვნებით) შენი სულისა! ჩემი იღბალი ყოფილხარ!..

თალალა – გადი თორემ, ეხლავ ქუჩაში გავიქცევი.

ავეტიქა – მერე ვინ გაგიშვებს? (მივა ახლოს) მამიჩემის ცხონებამ შენს მეტს არავის შავირთამ... შენი ღვიძლებისა შენთან დამსვი.

თალალა – (მეორეს მხარეს გაიქცევა) დაიკარგე, ვიღაც ოხერი ხარ!

ავეტიქა – ქა, რა არის, მწუნოვ თუ? აბა შემომხედე, როგორი ვაჟი ვარ, ნეტა იმის დედას, ვისიც გამხარებელი მე ვიქნები.

თალალა – იქით, უპატრონო ნუ გგონივარ, გარეთ გაეთრივე-მეთქი!

ავეტიქა – (მივა თალალასთან და ხელს დაუჭერს) ერთს გაკოცებ, მეტსკი არა და ნიშანს მოგცემ, შენი სულისა, რას წითლდება?

თალალა – (ხელს გამოჰგლეჯს) შენც შეგარცხვინა და შენი ნიშანიცა!.. (იქით გაიქცევა და ყვირის) ბიჭო თედუავ, მიშველე!..

ავეტიქა – (თან მისდევს) კუჭისა, მოიცა... ვა, სად მიხვალ(კაბის კალთას დაუჭერს) ხომ არ შეგჭამ, მოიცა მეთქი.

თალალა – (კაბას გააგდებინებს და კარებისკენ მიდის) ეს რა სულელი ყოფილა, მიშველეთ, მიშველეთ...

ავეტიქა – შენი წიწების ჭირიმე, მობრუნდი მეთქი, აჰა, მითო შენი ძაღლი ვარ, გეხვეწები.

თალალა – (გარეთ გავარდება და იძახის) მიშველეთ, რა ჭირს გადაგეკიდე, მიშველეთ!

ავეტიქა – (კარებიდან უძახის) ლავიწების ჭირიმე! შენი ღვიძლებისა მობრუნდი!

გამოსვლა მეექვსე

ივინივე და მაქთაღა კარებში შეეჩხება ავეტიქას

მაქთაღა – ავეთიქ, შენა?

ავეტიქა – (შეკროთომით) მე გახლავარ!

მაქთაღა – ქა! რა გინდა, ამ დროს აქა?

ავეტიქა – ოსანას ვეძებ, საქმე მაქვს.

მაქთაღა – თაღაღა რა ქნიღა მეთქი

ავეტიქა – ვინ თაღაღა?.. მე აქ არავინ მინახამს.

მაქთაღა – ვუი ქა, რას ამბობს ეს ლაპუსტაწი(იძახის) თაღაღ, თაღაღი! (პასუხი რომ არ ესმის) ვუი, შენს პარ დედას, შვილო! სად წასულა? (ავეტიქა ამ ლაპარაკში მეორე კარებიდან გაიპარება. მაქთაღა გასწევს უცებ ისევ კარისკენ და ამბობს ავეტიქაზედ) მოიცა შე არამზადავ, მე შენ გიჩვენებ შენს თამაშასა, თუ ხმა გაგიცია იმ ქაღისათვის. აბა წავიდე, კუხნაშიცა ვნახო!(გავა).

ფარდა დაეშვება

მესამე მოქმედება

გამოსვლა პირველი

ოსანას ოთახში სკამზედა ზის იულონ და თავს ადგას თავისი მოურავი.

იულონ – ეს რა მომივიდა მოურავიო? რა ჩემი წმიდა გიორგიმ დამაბრმავა? გეფიცები, იმ დამეს, კარებიდან მაქთაღა რომ დამანახვა, კინაღამ არ გავეგიჟდი, იმისთანა მშვენიერი რამა ჰსჩანდა; თვალები გიშერს უგვანდა, ყმაწვილი და წვრილი, ეხლა სულ სხვა არის.

მოურავი – უთუოდ, შორიდან მაგრე გჩვენებიათ.

იულონ – რა შორიდან კაცო? (წამოდგება და კარებთან მივა) ამ კარიდან ვერა გხედავ რაცა ხარ?

მოურავი – რა ვიცი, ალბათ შენი ბედი ეგ ყოფილა... ასე იტყვიან: იღბალს ვისთვისაც ვინ უნდა, წინ გადაეფარებაო და კაი თვალზედ დაანახვებსო.

იულონ – მერე რა დაუშავე, იმ ოხერს ჩემს იღბალსა, რომ ეს საქმე მიყო?

მოურავი – შენი რისხვა არა მაქვს ეგ რომ შენ რძლებში მიიყვანო, მასხრათ გაგაკეთებენ და სიცილით დასქდებიან... სირცხვილით მე კი ვეღარ დავდგები და.

იულონ – მე მაგასა ვჩივი და! სად გავიყვანო, ჩემი ნათესავობა შემჭამს.

მოურავი – თუ ფულები მაინც ბლომად აქვს, იმითი მაინც ბოდიში მოგვეხდება და ჯანი გავარდეს!

იულონ – ამ ორ დღეში თუ თავისი ქონება ჩემს სახელზედ არ დაამტკიცებინა, არ სეიძლება.

მოურავი – მაშ არა და... ბებერიც ყოფილა, ეგ ოჯახ დაქცეული!..

იულონ – (შეკრთომით) სუ, არ გაიგონოს!

მოურავი – ყურსაც აკლია ბატონო.

იულონ – (მცირე ფიქრის შემდეგ) ახლაკი უნდა შინ წახვიდე და ცხენები წაასხა, - ჩვენს სოფელში თუ ვინმე გკითხოს, იულონმა როგორი ქალი შეირთოვო, არავის უთხრა თუ ცალ თვალი არის და საძაგელი, - ყველას ძალიან უქე და ჩემ შეილებთან რომ მიხვიდე, ასე უთხარ ბევრი მზითევი აქვს და თქვენის სარგებლობის გულისათვის დაეხარბა ბატონო თქო.

მოურავი – მაშ როგორ ვაძაგებ, ყველას მაგრე ვეტყვი, თქვენი რისხვა არა მაქვს.

იულონ – მეც მანამ ცეფერები, მანამ ყველას ჩემს სახელზედ დავამტკიცებინებ; მერმეკი ზედაც აღარ შევხედავ.

მოურავი – მაშ არა და! მაგას მოუჯექ, დაგაჭლექოს.

გამოსვლა მეორე

იგინივე და ოსანა

ოსანა – (შემოვა მხიარულის სახით და იულონს გვერდით მოუჯდება) ბატონჯან, ამადამ თეატრში თუ წავალთ?

იულონ – თქვენი ნება არის.

ოსანა – მოურაო, წადი ღოჯის ბილეთები გვიყიდე!

მოურავი – ოღონდ თქვენკი ისიამოვნეთ და ბლითებს კი არა, თუნდა შაქრის პურებს მოგართმევთ.

ოსანა – (განცვიფრებით) ვიშ ქა, ბლითები რათ გინდა? – მე ბილეთი ვითხარ, მოურაოჯან.

მოურავი – ჰო და იმასაც მოგართმევთ და საცაკი გნებავთ იქ გიახლებით.

იულონ – (შეწუხებულია მოურავის მიუხევედრელობით) – მე გავგზავნი სხვასა, მოურავს არა სცალიან.

ოსანა (ქმარს) – შენი ნება იყოს; ოღონდკი წავიდეთ და ვინც გინდა ის გაგზავნე... ჩემი ჯუარის წერის ხმა ქაბატუას ყურში რომ ჩავარდნილა, მწუხარებით გული წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ... იმათ ქიშპზედ მინდა თეატრში გამოვიჭიმო, რომ ქვეყანამა თქუას, თუ კნენა ოსანა ბძანდებო... გასქდეს ქაბატუა!..

იულონ – რაზედ იხოცებიან ასე კი მოხდა და...

მოურავი – თუ მაგრე არის და, ყოველ ღამ წაბძანდით იქა, რაღაც სათათრეა...

იულონ – (მოურავსწუმის ხმით და წყრმით) რა ღმერთი გაგიწყრა, ხომ შეიტყე, რომ ვერ გაიგე თეატრი რა არის და არ გაჩუმიდები? რაღათ მარცხვენ?..

ოსანა – მერე ვაქსალში სეირობას ვიქ, ბულვარში კნიაზთან პოდრუჩკით გავივლი, მთელი ხალხი თავს დამიკრამს, კნენა მობძანდებო, გზას მიზმენ. ნახე თუ როგორ მიწა დაეყრებათ ჩემს ვინმეებს.

იულონ – (იცინის) კარგი აზრი არის ეგა, კარგი, წავალ კაცს გავაგზავნი რომ ეხლავ ბილეთები იყიდოს. (ულონ გავა, მოურავიც თან გაჰყვება)

გამოსვლა მესამე

მეორე კარებიდან შემოდის მაქთადა

მაქთაღა – (თავის დაკვრით) აა, ჩემს ოსანას ვენაცვალო მეთქი! როგორ გიკითხო? სამი შდღე არის აღარ მინახავხარ-მეთქი. ხომ გული-გულის ადგილას ჩაჯდა – მეთქი?

ოსანა – გმადლობ, კარგათ, მაგრამ რა გული ჩაჯდა, შვილები ბევრი ჰყოლია.

მაქთაღა – ჰყავდეს რას დაგიშლიან? მაგის სარჩო ეყოფათ, აღარ იცის თუ დოვლათი როგორ მოიხმაროს-მეთქი.

ოსანა – მე ჩემი დოვლათიც ვერ მიჭამია, მაგრამა ბაღლებს თავიკი არა მაქვს.

მაქთაღა - ბაღლებს რას დასდევ, ბედში ჩავარდი... შვილო თუ როგორც მე მოვიქეც-მეთქი, შენც ასე ნამუსიანათ ჩემი გასამრჯელო მომე-მეთქი... ახლა ხომ ჰხედამ რა საქმე გიყავ.

ოსანა- მოგცემ, ჯერ ხომ მეტი ხანი არ არის.

მაქთაღა – პირობა შვილო, ჯვარის წერის მეორე დღე იყო.

ოსანა – ჯერ იმთენი ხელშიაც არ მიჭირამს, ჩემი ფულები სულ დაქსაქსულია.

მაქთაღა – გენაცვა, რას ანბობ? ფულის მეტი რა გაქვს?

ოსანა – ჯერ ვერც სიყვარულს ვატყობ; ვნახო ვეყვარები თუ არა?

მაქთაღა – ვუი, ეყვარები ნონეს სულის მზემ! ახალი შეყრილი ნუგბარები ხართ...

ოსანა – რა ვიცი, ეს სიყვარულია? მე რომ ვეხვევი იმას პირი იქით მიაქვს.

მაქთაღა – პირის წყალიანი ვაჟია, ჯერ თუ ჰრცხვენიან?

ოსანა – თუ მე არა მრცხვენიან, იმას რაღა რჯის?..

მაქთაღა – რას მასხარაობ ოსანჯან? გული არა მაქვს.

ოსანა – გეუას ნათელმა, ეხლა ერთი თუმნის მეტს ვერ მოგცემ... (იღებს ჯიბიდან და აძღვეს) აჰა თუმანი.

მაქთაღა – (ხელს აუკრამს) ვინ ლაფ დასხმული გამოგართმევს –მეთქი! ქა, მაგისტვის დავაგდე ორი კვირა ჩემი სახლ-კარი ძაღლების ჰამარა? რა ჭაკზედ დაგვდებოდი და ისე დავივლიდი – მეთქი, ფეხის ლანჩები გადამაცვდა თრევითა.

ოსანა – აქ ბევრი შენზედ უკეთესი მაჭანკლები არიან, მაგრამ სამთუმნათ ასჯერ შემოუვლიან ხოლმე მთელ ქალაქსა, ისე არიგებენ.

მაქთაღა – აბა, თუ ქალი ხარ, გინახამს ვინმე-მეთქი, მთელ ქალაქში ჩემისთანა სახელგანთქმული და მოხერხებული – მეთქი. რაც მე ბრმები, კოჭლები, ქაჩლები, ყვავილისაგან დაჯიჯგნილები დავათხოვე ჩემის სულის გულისათვის გვრიტებივით ვაუებზედა-მეთქი, ამისთანა საქმე ვინ იქმოდა. მე და ჩემმა სულმა, სამაჭანკლოცკი კარგი ავიდე.

ოსანა – მენახშირიანთ ნარგიზუამ, რაღა ცოტა რამა ქნა, ორი თეძოთ კოჭლი და ელამი არ მისცა უმზითოთ მიღლიონის პატრონ ბაზაზ ვანუასა?

მაქთაღა –ჰო-და ღმერთმა გიშველოს-მეთქი, ნარგიზუას რაც მიჰსცეს შენც ისე მომე-მეთქი. იმან ოცდაათი თუმანი ჩაიდო უბეშია.

ოსანა – შენც დაიჭი აჰა, ეხლა მეტი რა გინდა? და ფულებს როცა მოვაგროვებ გასესხებულებსა, მაშინაც სამ თუმანს მოგცემ.

მაქთაღა – (გაჯავრებით) იქით! თავი არა მაქვს.

ოსანა – შენი ნებაა... (ფულს ჯიბეში ჩაიდებს) შენ ჩემი მოტყუებაც შეგრჩა; შვილები არა ჰყავსო.

მაქთაღა – (გაანხლებული) ვუი, გასქდეს დედამიწა და თან ჩაგიტანოს! მე მოგატყუვე ურცხვო?

ოსანა – შენი ნაშობი ჩაიტანოს! ადე გარეთ გადი, კნიაზი არ შემოვიდეს.

მაქთაღა – ვინ გავიდეს ქა? მერე კნიაზი ვისი მოყვანილი არის მეთქი? შენი სილამაზით თუ მოვიდა.

ოსანა – კნენასთან ღირსმა კი ხარ ლაპარაკისა, რომ მაგეებსაცა როშამ ქოფაკო?

მაქთაღა – (პუბლიკისაკენ) უი, ჩემს თავსა, ამ დროული ადამიანს, რა უპატიოთა მხდის-მეთქი, ეს უსინდისო! (ოსანას) მომე-მეთქი ჩემი სამაჭანკლო!

ოსანა – მითომ შენ რა მიყავ? კნიაზ ასე უნდომებეგარ რომ უშენოთაც პირ აქეთ შემეხვეწებოდა.

მაქთაღა – დამჟავებულისა და ბრუციანისათვის ვინ არ გაგიჟდება – მეთქი!

ოსანა – (დიდის წყრომით) გადი თორემ სულ თრევით გაგატანინებ!

მაქთაღა – მომე-მეთქი ჩემი სამაჭანკლო, თორემ ამ ქოშს თავში გდრუზამ-მეთქი!..(ქოშს გაიძრობს და მოუღერებს). ეხლავ დაგარტყამ, თუ არ მომცემ.

ოსანა – (კარებისაკენ მიდის) ბიჭო! შემოდი ეს ქოფაკი გაათრივე.

მაქთაღა – მაგას მემართლები ბრუციანო? კნენათ რომ გაგხადე – მეთქი?(ქოშს მმოუღერებს)

ოსანა – (კარებოდან უძახის) მიშველეთ, მკლამს ეს ქოფაკი!

გამოსვლა მეოთხე

იულონ და მოურავი შემოცვივდებიან

იულონ და მოურავი – (ერთად) რა ამბავია?

ოსანა – (იულონს) პარუჯან! ეს ქოფაკი მკლამს.

იულონ – (განცვიფრებით) შენა მაქთაღ?

მაქთაღა – (უჩვენებს ოსანაზედ)ამ ნამუსწასულს გასამრჯელოსა ვთხოვ

მოურავი – რის გასამრჯელოს? შენ ვის უბედავ მაგ სიტყვებსა?

ოსანა – გაგათხოვეო, კნიაზი მე მოვიყვანეო.

მაქთაღა – (ოსანას) შე გულ კვდარო, მაშ შენისთანა დამჯავებულზედ ჯვარს დაიწერდა პატიოსანი კნიაზი?

ოსანა – მოურაოჯან, გათრივეთ გენაცვალე.

მოურავი – (მაქთაღას) გადი გარეთ დედაკაცო!

მაქთაღა – მომცეს ჩემი სამაჭანკლო და გავალ.

იულონ – (მაქთაღას წყრომით) ვინ მოგიტმენს შენ ამ ანბავსა?

მაქთაღა – ქა, რათა კნიაზ! დამპირდა – მეთქი, თორემ როდი მოგატყუებდი-მეთქი და ჩემი ვაჟის ქალს დაგანახვებდი, მაგ ქაჯის მაგივრათა.

ოსანა - (სიანხხლით გულზედ ხელს ისომს, რადგან იმის ანბავი გამჟღავნდა) ვაი გული მიმდის გენაცვალეთ, მიშველეთ!.. ეს რა მომიგონა ამ ქოფაკმა.

იულონ – (ოსანას ხელს დაუჭერს) რა დაგემართა ბატონჯან? ტახტზედ დაბძანდი(დასვამს).

ოსანა – (წენარი და ნაზი ხმით) ჩქარა გაათრივეთ...

მოურავი - (მაქთაღას) განა შენი შვილიშვილი გაასინჯე ბატონს მაგის მაგივრათ? (ოსანაზედ ხელს იშვერს)

მაქთაღა – ნონიას სულის მზემ, მაგრე ვქენ-მეთქი.

იულონ – რათ მომატყუე დედაკაცო, არა გრცხვენიან?

მაქთაღა – მაშ რა მექნა? ქმარი შემრთეო, ჭირივით ჩამომეკიდა; ერთი წელიწადია მოსვენება აღარ მომცა.

მოურავი – ეგ ოინობაც შეგიძლია დედაკაცო?

მაქთაღა – (მოურავს) გაჭირვებამ გამაბედვინა.

ოსანა - (იულონს) ტყუის, ტყუის შენმა მზემ, მე ვიყავ.

იულონ – მოურაო, გააგდე აქედან მაქთაღა, თავის დღეში აქ აღარ გაიაროს.

მოურავი – (წაავლებს ხელს მაქთაღას და კარებისაკენ მიჰყავს) გადი დედაკაცო, აქ ფეხი აღარ დადგა, თორემ წელს აგათრევენებ.

მაქთაღა – (მიღის გარეთ და მიმავალი) გვირგვინიშც გაგიშავდებათ! ჩემის უპატიურობისათვისა.

ოსანა – (სირცხვილით იულონისაკენ ვეღარ დადგება და განგებ) ერთი წყალი ჩაველაპო, გული მიმდის(გავა).

იულონ – (მცირე ფიქრის შემდეგ მოურავს) აკი გითხარ, მოურავო, ის სულ სხვა იყო-მეთქი; ჰხედამ რა ოინბაზობა გვიყვეს?

მოურავი – ჩვენ კიდევ ეს საქმე უყოთ რომ, რაცა აქვს ყველა შენ სახელზედ სავამტკიცებინოთ და მაგას პირში ჩალა გამოვაფლოთ.

იულონ – შენ წადი, ცხენები წაასხი და სხვა მე ვიცი... ხედამ რა ერთს ხარჯს მაძღვეს? ეს ოცი თუმანი ვალიც შევჭამეთ.

მოურავი – რატომ ხარჯის ფულს მაინც მაგას არ ართმევ, ბატონო?

იულონ – რათ შევამცნევენებ, რომ ფული მიჭირს?... მაგას ასე ჰგონია მიღლიონის პატრონი ვარ.

მოურავი – ფულებით მაინც ვიკოჭაოთ და ჯანი გავარდეს!

იულონ – მოგეცეს დღეგრძელობა, მე მაგის ვირის საპალნე ჭრელი აბაზები შევასუსტო!

მოურავი – რა უყოთ თუ გონჯი არის, ჰხედამთ რა პატივში ვართ?

იულონ – ლაპარაკის დრო აღარ არის, წადი თორემ დაგიგვიანდება... ახლა შენ იცი და იქაურობამ.

მოურავი – მშვიდობით ბძანდებოდეთ(თავს დაუკრამს) ჩქარა ჩამოვალ. მე იქ უთქვენოთ დიდხანს ვეღარ გაგძღებ... ახლა წავალ ქალბატონსაც გამოვეთხოვები (გავა).

გამოსვლა მესუთე

ოსანა – (მოწყენით გადმოივლის და სკამზედ ჩამოჯდება) მოურავი ჯერ რათ გაისტუმრე ბატონჯან?..

იულონ – დრო არის სახლს მიხედოს... რას დაღონებულხარ? ოსანჯან! იმ წყევლმა დედაკაცმა მართლა გაგაჯავრა?

ოსანა – იმას ყურს ვინ უგდებს! იმან თავისი თავი გააჯავრა.

იულონ – შენ ნუ მომიკვდები, კარებიდან რომ გადავიდა, ასეთი პანდურები უთავაზა მოურავმა, რო შენი მოწონებული.

ოსანა (ღიმილით) – მართლა? უი, ღმერთმა უშველოს.

იულონ – მაშ ვერ დაინახე? გარწმუნებ! მეც მინდოდა კიდევ მეცემა, მაგრამ იმისთანაზედ ხელი როგორ გამეჩირქიანებინა.

ოსანა – მე ამასა ვჰსჩივი, რაც იმანა სთქუა, იქნება დაიჯერე?

იულონ – შენგან არ მიკვირს! აბა რა დასაჯერებელია?... ბევრიც ვიცინე იმის უსაფუძვლო ჭორებზედა.

გამოსვლა მეექვსე

ივინივე და ავეტიქა

ავეტიქა – (იულონს თავს დაუკრამს) სიძეს ვახლავარ!

იულონ – ოჰ, შენ ის ავეტიქა არა ხარ კახეთში რომ იყავ?

ავეტიქა – დიახ, ის ვახლავარ, ძლივს რომ გადაგირჩი... ახლა სიძე გაგვხდომიხარ და ქრთამს კიდევა მთხოვ?

იულონ – როგორ თუ სიძე?

ავეტიქა – ვა, ოსანა ჩემი ბიძას ქალი არ არის...

იულონ – მართლა?... დაბბანდი, მაშ ახლა პატივი უნდა გცე(ავეტიქა დაჯდება).

ოსანა - (ავეტიქას) თუკი ბიძას ვაჟი ხარ და რათ მიმდურებ, რომ ჩემს ადგილში დუქნებს აკეთებ, დაიცა ჯერ შენთვის არ მომიცლია...

ავეტიქა – მითომ მე რომ არ დამიძახებ და უჩემოთ ქორწილი შეჭამე, ეს რა ამბავია?

ოსანა – ქმარი რომ შევირთე, იმიტომ ჯავრობ თუ?

ავეტიქა – ჩვენი ოჯახი ღირსშესანიშნავია, ამისთან სიძედ გვიშოვნია?

ოსანა – აკი მეუბნებოდ, თუ ვინ გითხოვსო, დაბერდიო... აი , გულები დაგიხეთქეთ თუ არა?

ავეტიქა – მე რა ნაღველსა ვიქ, ნეტავი აქამდისაც ათი ქმარი შეფერთო, მაჭანკალი გიცხონოს.

ოსანა – მაშ რათ აკეთებ ჩემს ადგილში დუქნებსა?

ავეტიქა – ის შენი არ არის, ჩემი არის, თუნდა კნიაზმა ქნას სამართალი.

ოსანა – უი, რაებს იტყვის ეს სიყმე ბნელი!

ავეტიქა – მე მოველ, თუ სიძე გავიცნო, შენ კი აყალმაყალსა ხდი?..

ოსანა – ახლა ოხერი ნუღარა გგონივარ, რომ დამიბრიყვო.

ავეტიქა – მამა გიცხონდა, დავი-დარაბა მოშალე.

იულონ – ოსანჯან, რა დროს ჩხუბი არის?..

გამოსვლა მეშვიდე

ივინივე, მაქთაღა და თაღაღა.

მაქთაღა – (ხელი მოუკიდნია თაღაღასათვის და მოჰყავს). აი კნიაზ, თუ ვსტყუვი? იმ ღამეს ეს არ დაგანახვე. მაგ მაიმუნის მაგივრათა? აბა, შემოჰხედე, მარწყვის კონას არა ჰგავს?

თაღაღა – მაგისტრის წამომართიე? ბებილო, რას შეუშლისხარ? (იულონ და ავეტიქა ამათ განცვიფრებული უყურებენ)

ოსანა – (გაანჩხლებული) გადი შე ქოფაკო და ეგეც გაათრივე, ვილაც გოგო მოგიტრევი, შენ როგორ ჰბედავ, რომ ჩემი ქმარს მაგისთანა ლამაზ ქალებს უჩვენებ?!

მაქთაღა – (მოუბრუნდება ოსანას და უყვირის) მამე – მეთქი ჩემი სამაჭანკლო, მამე (პუბლიკისაკენ) ვაი შენ, ჩემო ქაბატუავ, რა ამის გულისათვი გაგხადე.

იულონ – (მაქთაღას) რა გინდა ჩვენგან დედაკაცო? რაც იყო, იყო, არ მოგვეშვები?

ავეტიქა – მაქთაღ, შენ გაურიგე კნიაზი და არას გაძღვეს? ნეტავი ჩემი დისათვის გაგერიგებინა, ოც თუმანს მოგცემდი, რა დაქავებული გაგისადებია და!

მაქთაღა – ტყუილია შენი სიყმის მზეს? თაღაღა აქ არ იყო, იმ ღამესა? შენ რომ კიდევ გამოჰსდგომოდი პირშავო?..

ავეტიქა – ვინ გამოუდგა, როდის? გავეხუმრე(თაღაღას) რათ გაიქე თაღაღჯან, რომ ყვიროდი, ვითომ რა იყო?

თაღაღა – შენი გაქრობა! რათ დამტანჯე წყეულო?

ოსანა – გენაცვალე ავეტიქჯან, პანღურები მაგათ, პანღურები!

ავეტიქა – საღუქნე ადგილებს დამიმტკიცებ?

ოსანა - ყველანი ჩემი ზინეთისთვის არ იხოცებიან, გაგონილა?

იულონ – (წამოუხტება მაქთაღას) არ გახვალთ? მე გაჩვენებთ თამაშასა!.. (მაქთაღა და თაღაღა კარებისკენ გაეჩქარებიან)

თაღაღა (მაქთაღას) გაგიწყდეს სახელი, კარგი ბებია შენა მყევხარ! თუკი ასე იყო, რათ მომათრევი ამ გასაწყვეტშია?

მაქთაღა (ოსანას) – არ იქნება, უნდა მომცე ჩემი სამაჭანკლო-მეთქი, თორემ მთელ ქალაქში რირი, რირის შევიქ-მეთქი!..

ოსანა - (პუბლიკისაკენ მაქთაღაზედ ხელს იშვერს) გეგონილა ქა, რასაც საქმეს ეს ქოფაკი მე მიშვრება? ლამის ქმარი გამიგიჟოს.

იულონ – ეს რა ცეცხლში ჩაგვარდი თქვენი ჭირიმეთ?..

მაქთადა (ოსანას) მამე ჩემი სამაჭანკლო – მეთქი, შე უცხვირპირო, ბრმავე (მაქთადა და თალაღა გაველენ ჯავრობით)

ავეტიქა – ახ, იმ დამეს რა ხელიდან წამივიდა ეს ლამაზი ჩიტი და!..

ოსანა (ავეტიქას) – წადი, შენც შეგარცხვინა და შენი ბიძას ვაჟობაცა! ერთი ხელი ვერ დააწე ჩემი უპატიურობისათვის.

ავეტიქა – პანდურს როგორ ვაკადრებ, ნეტავი ერთი ორი ეკოცინებინა. მაქთადასთვის რა მრჯის, წავალ თალაღას წავართმევ, ის არის ჩემი მკვლელი, იმის სიყვარული გულში მიბრახუნებს.

იულონ - (პუბლიკისაკენ) ეს რა ხალხი ყოფილა? რაც ჩემ დღეში არ მენახა, ეხლა ვნახე!..

ავეტიქა – ახლაკი მშვიდობით სიძეჯან!.. (იულონს თავს დაუკრავს, პუბლიკისაკენ) თუ თან არ გავჰყე, არ იქნება (გადის).

ოსანა- აი, ამას ამბობს, ბიძას ვაჟი ვარო. თუკი ჩემთვის გული ეწოდა, ერთი პანდურს ვერ მიართყამდა? მოურავს არცკი შევხვეწნივარ, მაგრამ რამთენი ურტყა.

იულონ – განა მეკი არ შემეძლო იმათი მორევნა, მაგრამ სირცხვილი არის, ისევ განუმება ჰსჯობს, ქვეყანა შეიყრებოდა, გამოგააშკარავენს.

ოსანა - რასა კნიაზჯან? ქმრის შერთვა თუ სირცხვილი იყოს, დღეში ასი ქალი აღარ გათხოვდებოა. მე ავეტიქაზედ მომდის გული, პირშავი! მამულესკი მცრცნის და ჩემს მლანძღველებს აქ ხმა არ გასცა და თნკი გაჰყუა, ვითომ რა არის, ყველა წვრილათ შევიტყო, საქმე როგორ მოხდაო...

იულონ – მაგისთვის უნდა ეხლა ჩემს სახელზედ მალე დაამტკიცებინო შენი მამულები, რომ მოდავენს ყველას პასუხი მე გავსცე.

ოსანა - რა აქვთ ქა ჩემთან საყოფი? დიდი ხანია გეუას თავისი უჭამია და პოდოზას თავისი, ახლა რომ შენზედ დავამტკიცებინო, ისიც მეტი ფულების გადაყრა იქნება.

იულონ - როგორ მითამა?

ოსანა - ქაღალდებში ცოტა წავა თუ?

იულონ - მეტი რა გზა არის, სასამართლოში ეხლა ხომ შენ ვეღარ გატარებ.

ოსანა - სასამართლო შორს არის თუ? მე აღარავისი მრცხვენიან, განა ყმაწვილიდა ვარ.

იულონ - (პუბლიკისაკენ) ვაი ჩემს ბედსა! (ოსანას) მერე ხომ უნდა სოფელში წაგიყვანო და იქიდან აქ სადღა ივლი?

ოსანა - (წყენით) უი ჩემს თავს ქა! სოფელში რა გინდა? აქ ბინა მოვშალო და იქ ლეკებმა მომკლან?

იულონ - რათა? ხან აქ ვიყვნეთ და ხან იქა!

ოსანა - სწორე გითხრა, არ შემოძლიან, გეუას ნათელმა, რომ ერთი დღე ვერ გაგძლო მე სოფელშია!...

იულონ - მაშ ჩვენი ქაღები როგორღა სძლებენ?

ოსანა - იმათ ქარა უნახამთ? ჩიტებივით მინვრად არიან დაზდილები.

იულონ - ინებოს ღმერთმა, რომ იმათი მზგავსი ყველანი იყვნენ, როგორნიც ჩვენი ქაღები არიან!

ოსანა - მითომ რა? იმათზედ ნაკლები ღმერთმა შეზარცხვინოს!

იულონ - მე რასაც გელაპარაკები, იმის პასუხი მომე, იმათთან რა გრჯის?

ოსანა - რისა ქა, არ ვიცი, ვერ გავიგე!..

იულონ – რისა და ამისი რომ პირობა ასე იყო, უნდა ყოველივე შენი ქონება ჩემს სახელზედ დაამტკიცებინო!

ოსანა- ვინა თქო მერე ეგა? მე გუნებაშიაც არ გამივლია!

იულონ – აი მაქთადა, თუ მაგ პირობით არ დავიწერე ჯვარი!..

ოსანა - მაქთადას უღაყბია, რომ მაიგისთანა ტყუილები დაუთესნია!..

იულონ – ორი კვირა ყოველ დღე სულ ეგ ანბავი მოჰქონდა და ტყუილათ როგორ მოიგონებდა? არა, დავიბარებ და ჰკითხავ, თუ ტყუილათ მოუგონია!

ოსანა - ქა, რა თავს იწყენ ალაჯან, ჩემი ზინეთი არც შენი არის და არც ჩემი, რაც გაგვიჩნდება იმისი არის.

იულონ – (იქით) შვილის ყოლის იმედიცა აქვს!.. კარგი სეირია!.. (მოუბრუნდება ოსანას) აკი ანბობ ყმაწვილი აღარა ვარო, შვილიკი გეყოლება?

ოსანა - ქა, ვითომ რატომაო? ჭრაქუტოლაანთ ხამფერას ორმოცდაჩვიდმეტი წლისას წყვილი ვაჟი ერთად გასჩენია!

იულონ – იქნება ესეც ბებრების ორსულობამ იცოდეს?

ოსანა - რას წყენულობ ალაჯან? ვისხდეთ ერთათ და რაცა მაქუს ორთავა ვსჭამოთ... მამაზედ უკეთესი ადგილი დუნიაზედ არ არის.

იულონ – მამა არ წამიწყდეს, მე ჩემ ყმასა და მამულს არ მოვშორდე, ჩემი ქვეყანა ყველას მირჩენია.

ოსანა - ქა, ახლა ეს როგორ უნდა იყოს?

იულონ – ასე უნდა... რომ ყოველი შენი ქონება ჩემ სახელზედ გადმოიტანე, დავიდარაბაში მე ვივლი, უიმისოთკი... ხან აქ ვიყვნეთ და ხან სოფელში. აი განზრახვა.

ოსანა - მაგრე რომ მცოდნოდა, კი არ შეგირთამდი... წაწყმდეს მაქთადა ჩემის ცოდვითა!

იულონ – რათა ქალო? რა არის აქ ცუდი?

ოსანა - ჰსწორე მოგახსენო, მანამ ცოცხალი ვარ, ვერც ბინას მოვშლი აქა და ვერცარავის ჩემსას რასმე დაუმტკიცებ.

იულონ – (გაჯავრებით) მაშ მომატკვუეთ?

ოსანა - მოტყუებული მე ვარ, შენ კი არა!..

იულონ – როგორა? ღირსი არა ვარ შენის ქმრობისა?

ოსანა - შვილებით სამსე ყოფილხარ!

იულონ – შენ რას დაგიმღიან ჩემი შვილები?

ოსანა - ამიტომაც არა გაქვს გული ჩემზედა.

იულონ – როგორ გული? არ ვიცი რას ამბობ?

ოსანა - სულაც არ გიყვარვარ და თუ ზინეთსაც დაგიმტკიცებ, მაშინ ხომ ზედაც აღარ შემომხედამ, სულ სხვა ქალებს დაუწყებ დევნას.

იულონ – (წყენით) ეს რა ყოფილა? როგორ ჰსჩანს არავინ არა ტყუის შენთანა. აბა ეგ სათქმელია? სიყვარული ამაზედ მეტი როგორ შეიძლება?

ოსანა - მაშ რათ ამბობ, მაქთაღამ მომატყუაო?

იულონ – იმიტომ რომ, შენ მეუბნები, არ დაგიმტკიცებო და ისკი მეფიცებოდა, მარტო ორი ვირის საპალნე ჭრელ აბაზს ჩაგაბარებო!..

ოსანა - დასწყევლოს ღმერთმა, რა მოუგონია! ნეტავი ერთი მუჭა აბაზი მაინცა მქონდეს...

იულონ – მაშ არცარა ჰსხუა ჰსჩანს?

ოსანა - აი რასაცა ჰხედამ ეს არის.

იულონ – ეგენი დაამტკიცე, რა ვუყო.

ოსანა- მე ვიღას გამოუდგე?

იულონ – ამბობენ ვითომც, ერთი მდიდარი ქალი მომკვდარა, მილლიონის ბანკის ბილეთი ჩქფჩიკში ჩაუდვია და ანდერძათ უთქომს დისათვის, ასე დამმარხეთო, დაკი საშინელი ღარიბი და წვრილშილი თურმე ჰყოლია... შენც ასე მოგდის აი.

ოსანა - მითომ რაო? ავიღო და ყველა შენს შეილებს შევაჭამო ეს გინდა თუ?

იულონ – (ჩიბუხს გააკეთებს, ეწევა და თან დადის) ჩემი შეილებისათვის საჭირო არა არისრა, მაგრამ მე შენგან კი არ მოვტყუვდები, განა მეც მაქთადა ვარ.

ოსანა - ეჰუ! ხედამთ რა ანბავია? ამასაც ჩემი ზინეთის სიხარბე ჰქონია!

იულონ – ნუ გამაჯავრებ, შენის ნებით მინდა დამიმტკიცო, თორემ საქმე ცუდად მოვა.

ოსანა - (გაანჩხლებით) მითომ რა უნდა მომივიდეს? თუ არ გნდივარ, საიდანაც მოსულხარ იქვე მიბძანდით!

იულონ – კიდევ მითხოვ? კარგი, კარგი! მაშ მომეც, რა ერთი ფულიც მე აქ დამეხარჯა... ასი თუმანი მიზის... და მე გიჩვენებ შენს თამაშასა.

ოსანა – ქა, რაც შენ შენს დღეში გიჭამია, იმის ანგარიშსაც მე მთხოვ თუ? – არ ჩაგიგდებ ჩემს ზინეთს ხელში, არა!

იულონ – (გაანჩხლებული) მამა არ წამიწყდება, მთელს ქალაქს აქ შევეყრი! ასეთ საქმეს ვიქ, სამაგალითო იყოს!

ოსანა - კოტრი კნიაზი მოსულხარ, მე უნდა გაგამდიდრო თუ?

იულონ – მაშ რა ოხრათ გინდა, თუ ან ქმარს არ მისცემ და ან ნათესავსა?

ოსანა - ბევრი კნიაზებს დაემარხავ, მეკი ისევ ჩემ ზინეთსა ვსჭამ.

იულონ – (მივარდება ახლო და გაანჩხლებული შეუტევს) შენ კნიაზებს ნუ ახსენებ, თორემ, აჰ, ნახამ თუ რა მოგივიდეს.

ოსანა - გაგიქრეს თავი,, კაი ქმარი შენ გადამეკიდე!.. ვათრევ ქოფაკს მაქთადას, ჩემი მოტყუებისათვის.

იულონ – შენ მართლა შეგრჩა ამთენი ოინობა... (აიღებს ჩუბუსს და დაანახვებს) ასე გაგაჭრელებ, ასე გაგაჭრელებ, რომ...

ოსანა - უი, უი, მოკვლას მიპირობს ეს სიემებნელი, რა ჭირი შემომივარდა გენაცვალეთ? (გაიქცევა ოთახისაკენ და გავა)

იულონ – (უკან მისძახის) აგრე დაგიფრენ, აი! (პუბლიკისაკენ) ეს რა ყოფილა თქვენი ჭირიმეთ?... თუკი ასე იყო, მაქთადა შემერთო ამის შერთვას ის არ მერჩინა? ბებერი ესეც არის და ისიცა!.. იმას თვალები მაინც აქვს.

გამოსვლა მერვე

ოსანა - (შემოიტანს ძველს შადის ჩერქესკას, ახალუსს, ქუდს, წადებს და ძველ პალტოს, დაჰყრის პოლზედ და გაწიწმატებული იძახის) აი, კოტრო კნიაზო, შენი დიდი ბარგი, აღარ მინდიხარ, გადი აქედანა, აკრიფე შენი ავლა-დიდება და წადი... ყელში ამოგივიდეს ჩემი გაკეთებული მუთანჯის ფლაგი! კნიანობას ხომ ვერ წამართმევ და სხვა რაღა დამრჩება შენი?

იულონ – (გაბრაზებული) მე არ შეგარჩენ ამ ამბავსა!.. წავალ ეხლავ მღვდელს მოვიყვან, მთავრობას ვაცნობებ, ქვეყანას შევჰყრი, მაქთაღასაც აქ მოვათრევ (მიდის კარისაკენ).

გამოსვლა მეცხრე

ავეტიქა იულონს შეეჩეხება კარებში

ავეტიქა – კნიაზ! რა აყალ-მაყალია, საით მიეჩქარები? დაიცა, მამაგიცხონდა, სიტყუა ვოქო, მოციქულათ გამომგზავნა მაქთაღამა.

იულონ – გამიშვი, მე უჩვენებ თამაშასა.

ავეტიქა – რას ემართლები? ხუთ თუმანს ჯერდება.

იულონ – ცეცხლი რომ ჩამომიგდო, იმას სამაჭანკლოს არ მივსცემ. ვათრევ იმ ქოფაკსა.

გამოსვლა მეათე

ივინივე და მაქთადა

მაქთადა – (კარებში მდგარა და ამ სიტყვაზედ შემოვა) აქეთ გამიშვით, მე ვიცი თრევა როგორიც უნდა, დავაგლიჯო ბუწუწები...

ავეტიქა – ვა, შენც ჩხუბეს კნიაზ?

იულონ – (ავეტიქას) სუყველა შენია, ქალს მამულებთან რა ხელი აქვს? აქ წამო, სამართალია და ქვეყანა.

მაქთადა – კნიაზ, მე რაღა ვქნა მეთქი.

იულონ – ვაი შენა და ზნე! მაგას დამტკიცება არ უთქვამს და შენკი მატყუებდი?..

მაქთადა - ვინ ანობ მაგას ქა, ის გულკვდარი?

ოსანა - შენ მოიგონე, შენა! მე არცა რას ვაძლევდი, არცა რას მივცემ.

მაქთადა – (ოსანას) დიას, შენი სილამაზით თუ მოტყუვდა-მეთქი! ჩემმა ენამა ქა, ჩემმა ენამა...

გამოსვლა მეთერთმეტე

ივინივე და მოურავი

მოურავი – ეს რა ამბავია? ქვეყანა ამ ქუჩაში შეყრილა, რა ჩხუბის ხმა არის? (ავეტიქას რომ დანახავს) ჰო... ავეტიქას ფულსა სთხოვ და არ გაძლევს? თავი დაანებე, რა დროს ჩხუბია, მახარობელი ვარ, მახარობელი.

იულონ – ოჰ, მოურავო, მოხველ?..რაღა რა ამბავია, ვერა ხედავ, ოსანამ ბარგი გადმომიყარა და გამომაგდო.

მოურავი – როგორ თუ ბარგი გადმოგიყარათ? ჭკუიდან შეიშალა თუ?

იულონ – როგორ გაბედე და მითხარიო, რომ შენი ქონება ჩემ სახელზედ დაამტკიცებინეო, აღარ მინდინარო!..

მოურავი – ეე, ჰუ! მაშ ცარიელა ბებერს ვინ ოხერი წაიყვანდა. ეხლა ხომ მაინც თავი უნდა დაგენებებინათ, მე ასე საჩქაროთ, თქვენთან მახარობლათ წამოველ, წელან ვერ გაიგეთ? ეხლა ცოლიც შინ მოგივიდათ და შვილებიცა, ჩქარა წამობრძანდით წავიდეთ...

იულონ – რას ანობ რა დროს ხუმრობა არის, როგორ თუ ცოლი?

მოურავი – არა გჯერათ? თქვენ მზესა ვფიცავ! ქალბატონი ლეკებმა, რომ წაიყვანეს ჩვენ ხომ მკვდარი გვეგონა და რამთენი მწუხარება გადაგხდათ, მაგრამ ცოცხალი ბრძანებულა და ერთს ბელადსა ჰყოლია სამი წელიწადი.

ავეტიქა – (პუბლიკისაკენ) კაი შვილიდა იქნება!

მოურავი – იქ ერთი ღვთის კაცი გამოჩენილა, ვიდაც ღენერალი არისო, იმას დაუხსნია და შინ დიდის პატივით გამოუგზავნია... დღეს მესამე დღე არის რაც დიანბეგმა მოიყვანა(ყველანი განცვიფრებულნი არიან)

ოსანა - (იულონს) რასაც მოურავი ანობს თუ მართალია, ვაი შენ სულსა, თუ ტყუილია და ნეტარება შენ სულს.

იულონ - (ყურს არ უგდებს ოსანას, მივა ახლო და მოურავს პირზედ ჰკოცნის) ოჰ, რა მითხარ ეგ? მამაჩემი არ წამიწყდება ამ მახარობლობისათვის გაგაკეთებ, იმდენს მოგცემ რომ საშვილიშვილოთ გეყოს! ჰო, ჰო, ჰო!.. ეს რა მომხდარა?!. გმადლობ, შენ ღმერთო! ეხლა მითომ ერთი დღე ავი აღარ მინახამს.

ავეტიქა – კნიაზ, ცოცხალი ცოლი გყოლია და აქეთ სხვაზედ ჯვარს იწერდი? თავადებმა მაინც ასე რაღაც რაღაცეები იცით.

მაქთაღა – ვიჰ, გენაცვალეთ! ეს რა უცნაური საქმეა!.. მომილოცამს კნიაზჯან მაგ უამს რომ მორჩი, ამაზედ ახია!.. (ოსანაზედ ხელს იშვერს)

ოსანა – უი ქა, ეს რა ცეცხლი ჩამომივარდა? რაღა ვქნა? (ლოყებზედ ხელს ისომს)

იულონ – (მოურავს) ქალბატონს შვილები არ მიჰგვარეთ?

მოურავი – როგორ არა, იმავ დღესვე, ჩვენც ჩქარა წავიდეთ თორემ თვალები დასწყდებათ გზისაკენა, საცაა ბიჭები ცხენებს მოასხამენ, ისინი ცოტა უკან დარჩნენ, მე ჭენებით მოვდიოდი.

ავეტიქა – (ოსანას) ახლა დაგიდგა თვალები, აი, ასე ყოფილა შენი საქმე კნენი! ხა... ხა... ხა... ხა!..

მაქთაღა – (ოსანას) სამართლიანმა ღმერთმა ეხლა დაგიყენა მეორე თვალიცა მეტქი! ვენაცვალე, უფალმა ამომყარა შენი ჯავრი თუ არა?

ოსანა – (მაქთაღას) შენ ხომ სწავლული ხარ, მაქთაღჯან, ორმოც თუმანს მოგცემ, ხმა ამოიღე, ეხლა კნიაზი ვის ერგება, მე თუ იმ პირველა ცოლსა?

მაქთაღა – შე უპიროვ, ეხლა ერთი პასუხისთვის, აღარც ორმოც თუმანს დაგჯერდები, თორემ კნიაზს შენი ხელიდან გაუშვებდი!..

ოსანა – კნიაზთან რაცავჭქენ ხუმრობით იყო შენმა მზემ, თორემ ვისთვის მინდა, ყველას შენ მოგცემ.

იულონ – იქით, იქით, ხმა ჩაიწყვიტე!

ოსანა – მიშველეთ, გენაცვალეთ, ავეტიქ, თუ ძმა ხარ შეგვარივე, საღუქნე ადგილები შენთვის იყოს.

ავეტიქა – დაიკარგე! კნიაზი მერე აბიდას შეჰსჭამს? ადგილები მაინც მე დამრჩება.

ოსანა – კნიაზჯან! დაგიმტკიცებ, ოღონდ ნუ გამიშვებ შენი სიყმის მზეს! მთელი ზინეთი შენი იყოს, სულ შენ შეჭამე(მოურავს) მოურავის ენაპირის ჭირიმე, მომეხმარე, ერთი ხელი ხალათი შენთვის არის მზათა.

მოურავი – რჯულების დარღვევა ჩემი საქმე არ არის. (პუბლიკისაკენ) ქალბატონი მზესაც მირჩენია და მთვარესაცა, არამცთუ ამისთანა ცალთვალა ბებერსა!..

ოსანა – მაქთაღ, თალაღას ჩემის ფულით გაგიოხოვებ, ხმა ამოიღე შენ ცხონებას.

მაქთაღა – ვაი, ეგ გული ამომავლეჯინა და ძაღლებისათვის მიმაგდებინა-მეტქი, თორემ, მე ვიცი საქმეს როგორც გავაბამდი.

იულონ – მოურაო, აბა გაიხედე არ მოასხეს ცხენები, რა დაემართათ.

მოურავი – (კარებიდან იყურება) რა ღმერთი გაუწყრათ.

გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე და ფოჩტალიონი. ფოჩტალიონი შემოვა, თავს დაუკრავს იულონს და წიგნს მიართმევს.

იულონ – (გახსნის წიგნს და იტყვის) ოჰ, ჩემი შვილის წიგნი რუსეთიდგან(ხმა მაღლა კითხულობს) საყვარელო მამავ! ვიცი გაიმებათ, მე წარსულს თვეში ცოლი შევირთე და ჯვარი დავიწერე. ასეთი ლამაზი ქალი შევირთე, როგორც ვარსკვლავი, სწავლული და მდიდარი. ოცი ათასი თუმანი ფული აქვს. ახლა თქვენგან ლოცვა კურთხევის მეტი აღარა გვეჭირვებარა... (კითხვას თავს დაანებებს და ანბობს) ჰოოო! მეც ეს მინდოდა! ახლა კი მშვიდობით!.. (ოსანას თავს დაუკრავს და გავა)

მოურავი - (ოსანას) ბრძანდებოდე მაგ შენ მაყაღთან, შენი არა გვეხარბებარა (გავა).

მაქთადა - (ოსანას) ჩემი სიკეთე არმათ გადაგექცა თუ არა? წავალ აღარა მინდარა შენი(გავა).

ავეტიქა – (დაცინვით) ოსანჯან! მოდი კუხების საყდარში მონაზონად შედი(გავა).

ოსანა - (მარტოკა აქეთ-იქით იყურება) მაშ, აღარავინ მეხმარება? ახლა ვესალმები ქვეყანასა? ახლა წახდა ჩემი ყმაწვილქალობა? ქაბატუას გულისათაც გავხდი, რაღა ვქნა? (გულს უღონდება)

(ფარდა ეშვება)